

140
1955/3

საბავშვო გაზეთი

საბავშვო
გაზეთი



ს. რ. ნ. ე. ნ. ე.

№ 7
ივლისი
1955



ხელგაკვილოვის ბაკვეთილი

ფოტოგრაფი უ. ჩხეტიანი



პ ი თ ნ ე რ ი

№ 7

ივლისი, 1955 წ.

წელიწადი XXIX

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შრომითიური საბავშვო შუროალი

6904



გ ვ ე ძ ა ხ ი ს ზ ა ფ ხ უ ლ ი

მივდივართ და ბევრჯერ ოცნებით ნახული
გზად ბევრი მთა-ხევი გვეგულვის.
კვლავ ბიონერული გვეძახის ზაფხული,
სჭექს დაფი კვლავ ბიონერული.

იქითკენ ტყე არი, აქეთკენ მოლია,
ჩანჩქერი ცივ შხეფებს გვასხურებს.
ხეობებს, ველ-მინდვრებს
და კლდეებს თოვლიანს
ხელების მოჩრდილვით გავყურებთ.

მუხლშია ძალა და გულშია მხნეობა,
სიმღერით წინ მივემართებით.


ძირს ჭალა ელვარებს და გრგვინავს ხეობა,
ზევით ჩანს მწვერვალთა კალთები.

წინ მთაა უამრავ სიმდიდრის მფარავი,—
ნისლეების ტბად შეგუბებული.
მშობლიურ ტყის პირას გავშაღეთ კარავი,
ალამიც აღვმართეთ ქებული...

მდინარე ხეობას ჩაუღის დგაფუნით,
გუგუნებს დაფი და ნალარა.
კვლავ სამოგზაუროდ გვეძახის ზაფხული,
გნლავ მთები გვეძახის ჭადარა.

პასილ გვეგაკა





საგომ ლორთქიანიძე

ნახ. კ. მახარაძისა

გარიქრაქზე

პატარა სანდროს არ ეძინება, ძალიან სურს მეორე ოთახში გასვლა, სადაც მუშებს კრება აქვთ გამართული. მაგრამ წითელა აქვს სანდროს, სიციხიანია და ლოგინში მორგავს... საწოლთან ვეება სკივრი ბებოს წითლად მოურთავს. წითელი ატლასი აქვს სკივრს გადაფარებული; ზედ სათამაშოები აწყვია: შაქრის მამლები, კამფეტები... ყველაფერი წითელია...

სანდროს გულით სურს მეორე ოთახში გასვლა... იქ, ალბათ, ძია კობა ლაპარაკობს, ძია ვანო, ძია დათიკოც. მერე რა კარგად ლაპარაკობენ, სულ მუშების გათავისუფლების შესახებ. სანდროც ხომ მუშის შვილია!..

ეხ, რატომ არის სანდრო პატარა! თუმცა, პატარებსაც შეუძლიათ ბრძოლა. აი, სანამ ავად გახდებოდა, ხომ ამოუმტვრია ბოქაულის შვილს ცხვირ-პირი! რა ფუყოთ რომ ბოქაულის შვილია! არაფინ ეკითხებოდა მინძური ცხვირის სხვის საქმეში ჩაყოფას...

ძია დათიკომ ამ ერთი კვირის წინ პროკლამაციები მისცა სანდროს გასაავრცელებლად. სანდროც ჩვეული სისწრაფით მოქმედებდა; მარტო არ იყო სანდრო, ამხანაგი ეხმარებოდა, რუსი ვატმანის ბიჭი — ტოლია. ტოლია კედლებზე აკრავდა ფურცლებს. ეს ბოქაულის შვილმა დაინახა და პოლიციელს შეატყობინა. ეხ, როგორ

სცემეს ტოლიას!.. მაგრამ მაინც არ გამოტყდა, ვინ მისცა პროკლამაციები.

მალე შემთხვევა მიეცა სანდროს და ბოქაულის შვილის ჯავრი იყარა. დიდხანს იჩხუბეს... ცხვირგატეხილი და სახედალურჯეხული ბოქაულის ბიჭი დარჩა... რა ფუყოთ, რომ იგი სანდროზე მთელი წლით უფროსია.

ნეტავ რასა ბჭობენ მეორე ოთახში? ჩუ, დეიდა ბაბე ლაპარაკობს! უკვე დაასრულა... მაგან ხომ ბევრი ლაპარაკი არ იცის, სამაგიეროდ... რამხელა დრომას ჰკერავდა გუშინ, წითელ დრომას! რა კარგი დღეებია! ნეტავ ზვალაც კარგი დღე იყოს!

არა, მშვენიერი დამეებიც არის. აი, თუნდაც ახლა, ფანჯრიდან დასრულებული მთვარე იცქირება. რა ახლოს არის დედამიწასთან! თითქოს, სახლის სახურავზე რომ დადგე, ხელით მისწვდები... თუმცა სახლის სახურავზე ტოლია ზის ახლა, გარეთ კი სანდროს უფროსი და მარო დგას — კრებას დარაჯობენ...

ხვალ დილით მუშები ძია კობას ხელმძღვანელობით წითელ დრომას ააფრიალებენ. საპირველმართო დრომას. ყველანი იქ იქნებიან სანდროს გარდა...

მაგრამ სანდრომ იცის რა უნდა გააკეთოს აქ...

* * *

ჯერ კიდევ დილის ბინდი იდგა, როდესაც ერთსართულიან სახლს პატარა ჩრდილი მოშორდა,

მიუახლოვდა მაღალ ზოძს და ზედ შეაცოცდა. ძალიან სლიპი იყო ზოძი, მაგრამ ჩრდილი მაინც მიცოცავდა მაღლა.

იქვე, ზოძიდან თხუთმეტი ნაბიჯის დაშორებით, მორიგე პოლიციელი ინდაურით დაიფხორებოდა.

სანდროს ფეხები უცურდებოდა, მკლავებში ძალა ეცლებოდა, მაგრამ როგორც იქნა მიიღწია ზოძის თავში მიმაგრებულ კაეს... სისუსტისაგან თავბრუ ესხმოდა, მაგრამ მაინც შეძლო ზოძის კავზე გრძელი წითელი ნაჭრის მიმაგრება. ცოტა უფრო ქვემოთ ნაჭრის პარკი მიაბა, რომელშიც ქვეები იყო ჩაწყობილი. ეს საქმე რომ დაასრულა, სწრაფად ჩამოსრიალდა.

როდესაც დილის ბინდი გაიკრიცა და აღმოსავლეთიდან ვეებერთელა მზე ამოგორდა, ზოძზე მიმაგრებულ დროშას ოქროს სხივების კონა მიადგა. დილის ნიაგმა დაჰქროლა და დროშა წითლად ააფრიალა. მისმა ფრიალმა მთვლელმარე პოლიციელი ზევით აახედა. უძილო, გასიესული სახე უკვებ დაეღრიჯა, თვალები გაუფართოვდა: სასტვენის პირში ჩაიღო, ისევ გამოიღო. ისე დაიბნა. ეღარათფერი მოესაზრებინა... მის საგუშავოზე წითელი დროშა ფრიალებდა... პოლიციელს თვალწინ წარმოუდგა სასაჯელი, რაც მას უფროსებისაგან თავს დაატყდებოდა. ახლა სასწრაფოდ ჩაიღო სასტვენის პირში და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ჩააპტერა.

სადღაც შორეულ კვარტალებში სხვა პოლიციელებიც აპყენენ. პოლიციელებს მეგზოვეებიც გამოეხმაურნენ. შეიქნა განგაში. წითელი დროშის ამბავი სწრაფად გავრცელდა უბანში... ხალხი მორბოდა, პოლიციელებიც ემატებოდნენ, ზოძთან თავმოყრილთა რიცხვი მატულობდა.

— გაითანტეთ!

— დაიშალეთ!

მაღი ბოქაულიც გამოჩნდა.


— ბატონო ბოქაულო, რეეოლუციონერების მოწყობილია... მარტო დროშა კი არა, არამედ... შვიძლება აი, იქვე გამოკიდებულ პარკში... ბომბები იყოს ჩაწყობილი... ამიტომ ვერ ჩამოგვის-ნია, — შეშფოთებით ეუბნებოდნენ ბოქაულს პოლიციელები.

ბოქაული შეფიქრიანდა. გამოუძახეს მექანძრეთა რაზმს.

ამ დროს თავმოყრილი ხალხი ცხენოსანმა კახაკმა გაარღვია და ბოქაულთან მიიჭრა:

— ბატონო ბოქაულო, სალდათის ბაზართან მუშათა დიდი დემონსტრაცია დაიწყო, საჭიროა დამხმარე ძალის საჩქაროდ გაგზავნა, — მოსულს სიტყვა გაუწყდა... მან შეხედა მოფრიალე წითელ ნაჭერს, რომლის ჩამოხსნას ვერავინ ზედავდა...

ფანჯრიდან ამ ამბავს უჩაქერდა სანდრო... რა ვუყოთ, თუ სკივრს დიდი წითელი ნაჭერი აღარ



წითელი დროშის ამბავი სწრაფად გავრცელდა უბანში. ხალხი მორბოდა, პოლიციელებიც.

ეფარა, რა ვუყოთ, რომ სანდროს წითელა ჰქონდა, ბუმბოს კარი ჩაეკეტა და გარეთ არ უშვებდა ბიჭს... ჩაკეტულ ოთახში სანდრო ასკინკილას უვლიდა და შეჰხაროდა წითელ ფერს, რომელიც თითქოს საპასუხო წითელ ღიმილს უგზავნიდა ყმაწვილს. თვით ათას ცხრაას პირველი წლის 22 აპრილის* დილა წითლად იღიმებოდა.

* 1901 წლის 22 აპრილს პირველად შედგა საპირველში-სო დღესასწაული თბილისში.



რეპუ მარბიანი

ნახ. კ. მახარაძისა

მური ბიჭის აზბაპი

ბანაკში ვარ, ხევში
ჩამოცურდა ბინდი,
თეთრი ღრუბლის ქულა
თითქმის ქედებს ფარავს
და კოცონის ალი
მალლა ცაში მიდის,
თან ბრიალებს იგი
ყელსახვევის დარად.

ცეცხლს ვუხედვართ ყველა;
იწვის ფიჭვის ფიჩხი—
გააქვს ტკაცა-ტკუცი,
იცრემლება არყი.
იფანტება ირგვლივ
მუგუზლების ჩინჩილი
და ნაპერწკალს მრავალს
სიცილივით გვყარის.

ნაძვებს შორის გაჩნდა
მთვარე გაბადრული.
ჩვენი ცეცხლის ალი
მალლა, ზეცას სწვდება.
ცეცხლის ნაპერწკლები
ცაში გაფანტული
თითქოს იქცნენ უკვე
ნამდვილ ვარსკვლავებად.

ჩვენ კოცონის ირგვლივ
შევიკრებილვართ ერთად,
ფოთლის შარიშური
ჩურჩულივით ისმის.
გვეპარება ჩუმად,
ჩემი თვალით ვხედავ,
ხევში მოფარფატე
თოვლისფერი ნისლი.

ცეცხლს გუზგუში გააქვს,
იწვის არყის ტოტი;

გულისხგერაც მესმის
უთვალავი ბავშვის.
შორიახლოს ჩქარი
ჩანჩქერის ხმა მოდის,
ისე ისმის, როგორც
განუწყვეტი ტაში.

ბანაკში ვარ, სტუმრად,
ასი მასპინძელი
შემომცქერის ერთად—
თვალებს აციმციმებს.
მეც ბავშვურად მათთან
გამიშლია ხელი,
რა ვუამბო, რა ვქნა,
ტვირთი მაწვეს მძიმე.

ლექსი ბევრი ვიცი,
სიმღერებიც ვიცი,
მუდართ და თხოვნით
მიცქერს ასი თვალი.
რა ვუამბო, რა ვქნა,
მღელვარებით ვიწვი,
ყელზეც მომდებია
ყელსახვევის ალი.

ვფიქრობ,
ვფიქრობ დიდხანს,
მოგონების ქსელი
თითქოს გაილამბა,
თავს ვერ ვართმევ ფიქრებს.
ბევრი, ბევრი მახსოვს
ახალიც და ძველიც,
თვალთ ნახულ ამბავს,
ნამდვილ ამბავს ვიწყებ:

— 1 —

კაკკასის კალთაზე
არის ერთი სოფელი,

მოყვარესთან კეთილი,
ძმასთან— განუყოფელი.

ნაირ-ნაირ ჭალებით,
მარად მწვანე ნაძვნართ
თავზე თორად დაჰყურებს
მთები უზარმაზარი.

სოფელს შუა ჩაუდის
ერთი ჩქარი მდინარე,
განუწყვეტლად გრიალებს,
ძილს უშფოთებს მყინვარებს.

მიშქრის თავდავიწყებით
კლდესთან დაჯახებული,
ხანაც აქაფებული,
ხანაც გალალებული.



მიჭკრის აურ-ზაურით,
მთას სიმღერას გასძახის
და ტალღებში მრავალი
დასრიალებს კალმახი.

ტალღა—ტალღას უმღერის,
ცას სწევდებიან შხეფებით.
ხშირად ემდურებიან
კალმახურას გლენები:

— კალმახურას ბრალია,
კალმახურას ვემდურით,
დაუნდობი რამ არი
იგი აღიდებულა.

ყანა არ დაგვიყენა,
ხათიბები, ბაღჩები,
ხშირად გაუტაცია
მოხანავე ბავშვები.

ხშირად ყინვარებიდან,
მოპარულა ნისლივით,
წაუღია საბძელი,
წაუღია წისკვილი.

ახლაც ხიდი გაგლიჯა,
ნაფლეთებად აქცია,
ისე აათამაშა,
ვით ნაფოტი პაწია.

ბურჯს ეძგერა ზრიალით,
ბურჯი განზე გასწია,
შექნა დავიდარაბა,
შექნა გაწამაწია.

დამბა ორგან გაგლიჯა,
რიყედ იქცა ქვიტირი;
ჭაღებისკენ დაეშვა
შავი, როგორც სიკვდილი.

მიჭკრის ტალღის დგაფუნით,
ფეხზე აღდა სოფელი,
აღდგა ხალხი—ერთმანეთს
მარად განუყოფელი,

წინ აღუდგა ბობოქარს,
წინ აღუდგა მძვინვარეს.
მიჭკრის აქაფებული
კალმახურა-მდინარე.

კლდეს შეშბლავის მრისხანე,
მაქვს ყინვის ლოდები;
შეშკვივან ქაღები
ვიშითა და გოდებით.

კალმახურა გრიალებს,
ტალღას გააქვს თქაფანი,
გაუშლია ფაფარი,
ყანებს ლოკავს ფაფარი.

მკლავზე გადაიწვინა
ერთი ცაცხვი ვეება,

მკერდზე აატორტმანა,
მოჭკრის შეუჩერებლად.

ტოტებამწვანებული
თხემზე დგანან დარცხვენით,—
მისტირიან მეგობარს
მხრებგაშლილი ცაცხვები.

წვიმს, ცა დაბლა ჩამოდის,
მოდის შეუჩერებლივ;
ფაფასავით გასქელდა
ერთ ღროს წმიდა ჩქერები.

იბრძვის მთელი სოფელი,
არ იშურებს მარჯვენას,
სოფლის მთელი დოვლათის,
ხალხის გადასარჩენად.

კალმახურას ნაპირზე
გამოშლილა სოფელი,—
ჭირში, ღბინში ერთპანეთს
მარად განუყოფელი.



ცა კი დაბლა ჩამოდის,
წვიმა მოდის ჩქარ-ჩქარი,
გაწოლილა ქალაზე
შავი ღრუბლის ლაშქარი.

ელვამ გასჭრა ღრუბელი,
ელვამ ზეცა გაბზარა,
კლდეზე მეხი დაეცა,
მიწა შეაწანწარა.

წვიმს, გრიალებს მდინარე,
გადმოლახა ნაპირი,
ჭაღებისკენ იჩქარის,
მიჭკრის ფაფარაშლილი.

— 2 —

ქალასთან, სოფლის ბოლოში
სკოლა ჩანს კირშეფეთქილი,
იქვე მდინარის ნაპირას
ცხოვრობს მოხუცი კეთილი.

მდინარეს თავზე დასცქერის
მოხუცის ოდა ქართული,
მზრუნველი ხელით ნაშენი,
ცისფერი, წელგამართული.

სახლს საძირკველი გაუდგამს
მდინარის პირას მაგარი,
სახლს ირგვლივ ღობე ავლია
ცისფერი, ახალთახალი.

იქ ცხოვრობს ერთი მოხუცი,
სოფლის თვალი და ნუგეში,
თავისი ხელით ამართა
ეს სახლი სიჭაბუკეში.

ჭაბუკი იყო, მოვიდა
და ცხრა მთა გადმოიარა,
დასახლდა, გული გაშალა,
სოფელს მიენდო მთლიანად.

დასახლდა, წიგნი გაშალა,
ქართული წიგნი პატარა,
ხალხს წერა-კითხვა სწყუროდა
და წიგნი ხალხს შეაყვარა.

ვით წმიდა წყაროს—ირმები,
შემოეჩვივნენ ბაღლები,

მკვირცხლები, მოუსვენრები,
როგორც მდინარის ტალღები.

ბევრი ცირა და მალხაზი
წიგნის და ცოდნის მსურველი,
ცოდნის წყაროსთან მივიდა,
კაციც დაუხვდა მზრუნველი.

სოფელში გაჩნდა სიმღერა
და ხალხმა გულით ატარა,
ყველა მას იმეორებდა
სოფლად დიდი თუ პატარა:

— „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
მეც მოგოჯღებდი გვერდსაო...“

— 3 —

ცხოვრობდა ძია გიორგი,—
ასე ეძახდა სოფელი,
ჭირსა და ღბინში ერთგული,
მარადუჟამს განუყოფელი.

ცხოვრობდა, ბევრი სიკეთის
კვალი გავლო გუთანით,
შრომობდა დაუღალავად
ისე, ვით მუშა ფუტკარი.

და გიორგისთვის სიმართლე
იყო რკინა და ბექთარი,
გული კი ჭკონდა ალალი —
ხავსე მზითა და ნექტარი.

— „მოხუცი, შრომა იკარე“, —
რომ ეთქვათ, ვერვინ გაბედა.
ისე, ვით მუხა ძლიერი,
სოფელელთა თვალწინ დაბერდა.

თვალმაც უსუსტა, მუხლებმაც,
რალაც „ქარებმაც“ აწვალეს,
წაშლიც მოიშველია,
მოიშველია სათვალეც.

ბევრი გაუჩნდა მზრუნველი,
ბევრი გაუჩნდა მნახველი...
ლოგინად ჩაწვა გიორგი
სოფლის თვალი და სახელი.

* * *

წევს მოხუცი სიცხიანი,
ალმური წვეს, ჩუმად ხენეშის,
ქარს ფანჯარა გაუღია
და კედელზე ურტყამს თქეში.

მინებს გააქვს ლაწა-ლუწი,
გარეთ ამხვრევს ტოტებს ქარი
და ოთახშიც დატრიალდა
შემოჭრილი ქარიშხალი.

ბორგავს, შფოთავს ავადმყოფი,
სიცხიანი თვალით უცქერს,
ქარი როგორ აფრიალებს
გადაშლილი წიგნის ფურცელს.

სწუხს მოხუცი,
მშველელს უხმობს
და მშველელი არსად არ ჩანს,
წამით სცადა წამოდგომა
და ამოდ გაისარჯა.

მიწვა ისევ, დავრდომილი,
მწუხრიანი ითხოვს შველას,
გრძნობს:
სახლს როგორ აზანზარებს
მღვრიე ტალღა ვებერთელა.

კალმანურა სახლის ბოძებს
უზარმაზარ ტალღებს ურტყამს,
ცაზე ეღვა დაიკლანა,
საღვაც ახლოს დაიქუხა...

* * *

მოხუცს ერთი ვაჟი ჰყავდა,
მოიგონა ახლა მამამ,

ფიცხელ ომში დაედუბა,
თვალი ცრემლით დაენაშა.

სურათიდან შავგვრემანი
შემოსცინის მამას ვაჟი,
იმედი და სიხარული
და ცხოვრების გარიჟრაჟი.

რა უდროოდ ჩაქრა იგი,
შეწუდა მისი გულისძგერა,
მამულისთვის დაილუბა,
მაგრამ მამას არა სჯერა.

არა, არ სურს დაიჯეროს,
თურმე ძნელი არის მეტად,
მამის გულმა მამისერთა
ფიქრითაც ვერ გაიმეტა.

თუმც სოფელმა ბევრი სცადა,
რომ გაექრო მისი დარდი,
მაგრამ მოხუცს გულზე აწევს
დარდი ათი წელიწადი.

— 4 —

მიჰქრის ორი ბიჭუნა,
მოხუცისკენ იჩქარის.
აშა, თითქოს გამოჩნდა
მტრედისფერი ჭიშკარი.

ცა ისევე მუქია,
კალმანურას ტალღებიც.
შგვანან სოველ ფრინველებს
გაწუწული სახლებიც.

ცამ არ გადაიკარა,
ლეღე იქცა მდინარედ,
მოდის ხვილ-ხვილით,
ხეობებში მძვივარებს.

მიჰქრის ორი ბიჭუნა
ფრჩხილებამდე სოველიც.
კალმანურა გრიალებს—
ხევში დაუდგარომელი.

აშა, სკოლაც გამოჩნდა
თეთრად წამომართული,
სკოლის ქვემოთ, ნაპირთან
მოჩანს ოდა სართულიც.

ძლივს სუნთქავენ ბიჭები,
მუხლშიც ძალა ეღვავათ,
ესმით ტალღის დგაფუნის,
ნიაღვრების ხველება.

მოდის, მოდის გამწყრალი
წვიმა თავდავიწყებით;
მანინც მიიჩქარიან
მუხლდაღლილი ბიჭები.

აშა, უკვე ჭიშკარიც...
სახლი აიფინიანი,

ერთი ბოძი ირყევა,
ტალღებს გააქვს გრიალი...

ჩქარა, ბიჭო, მდინარის
ტალღა მისწვდა დერეფანს,
სწრაფად, ბიჭო, ბოძები
ტალღით გაითქვრება!

საძირკველი ირყევა
მარჯვნივ გადახანხარი...
ჩქარა, თორემ მდინარის
ტალღა შთანთქავს ხარხარით.

— 5 —

წევს მოხუცი ჭადრა
სიცხიანი თვალებით,
საბანს ზემოთ უწევია
დაქანცული მკლავები.

მძიმედ სუნთქავს, ბურანში
გახვეულა მთლიანად.
უცბად კარი გაიღო,
კარმა გაიჭრიალა.

ნელა გახსნა წამწამი,
რალაც იგრძნო ტკივილი
და სიცხიან ტუჩებზე
ათამაშდა ღიმილი.

ხედავს:
ორი ბიჭი დვას,
მისი ორი გაზრდილი,
მასწავლებლის წინაშე,
ორი მართვე ნამდვილი.

არა, ჩვენ არ დავლილივართ,
პასუხოვენ თვალებით,
მასთან ახლოს მივიდნენ,
შემოხვეის მკლავები.

მთელი სახლი ზანზარებს,
ისმის ტალღის ჩქაფანი,
კალმანურა აივანს
უკვე ლოკავს ფაფარით.

მთელი სახლი ცახცახებს,
ისმის სახლის ჭრიალი,
დატრიალდა მორევი,
დადგა ორომტრიალი.

აიტაცეს მოხუცი,
მიჰყავთ დიდი წვალებით,
მხრებზე გადაუწყვიათ
მასწავლებლის მკლავები.

გარეთ გამოიყვანეს
ერთი ვაი-ვაგლახით,
მუხლებამდე შემოსწვდათ
ლორღიანი ტალღა.



სამშვიდობოს გავიღწენ,
შედგენ სკოლის კარებთან,
ავდარს არ შეუშინდენ,
ავდარს არვინ დანებდა.

— 6 —

— ნაუ, ნაუ, ნაუ...
რეკავს სკოლის ზარი,
ჩვენსკენ,
ჩვენსკენ,
ჩვენსკენ,
ჩქარა, მოგვისწარი!

მოგვისწართ, თორემ
განსაცდელი გველის,
სოფელს ზარით უხმობს
ორი პიონერი.

რეკავს,
რეკავს ზარი,
სკოლის ძველი ზარი,
— ჩქარა!
— მოგვისწართ!
— ჩქარა!
— მოგვისწართ!

ესმის ზარის რეკვა,
თითქოს ზარი კვენის,
იქნებ სკოლის ზარის
ხმა ნამდვილად ესმის.

თვლებს იფშენეტს იგი,
მოეჩვენა იქნებ,
ღელავს, თავს ვერ ართმევს
ბურუსიან ფიქრებს.

თვალწინ დაეხატა
ის პირველი დილა,

თითქმის ნახევარი
საუკუნის წინაა

პირველად რომ დაჰყრეს
პაწაწინა ზარი,
რომ გაიღო კლასის
საოცნებო კარი.

თითქოს ცხადში ხედავს,
თითქოს ხედავს თვალით...
რეკავს,
რეკავს ზარი:
— ჩქარა!
— მოგვისწართ!

* * *

ქარს ღრუბელი მიაქვს,
სადღაც გადარეკა.
სოფელს ესმის, ესმის
სოფლის ზარის რეკვა.

ყველა იქით მიჰქრის,
იფანტება ხმები,
— ნაუ, ნაუ, ნაუ,—
იმეორებს მთები.

კალმანთრა ბორგავს,
არ დამცხრალა ჯერაც,
სოფელს ემუქრება,
ისევე გასათქვრად.

— 7 —

გახსნეს კარი, სკოლის კარი,
ყველა უცბად დარჩა სახტად,
გამზრდელი და მოაპაგე
ქცეულიყო მართლა სანთლად.

თავზე ადგა ორი ბიჭი,
სანაქებო ორი მართვე,

მოკრძალებით ხალხს შეხედეს
და თვალები შეანათეს.

იქ მზრუნველი ბეგრი გაჩნდა
და არც იყო გასაკვირი,
სიკვდილს ხელში გამოსტაცეს
ნუგეში და სოფლის შვილი.

— 8 —

რაც მოასწრო კალმანთრამ
ისლა დარჩა სანანებლად,
გულმოსულმა ხალხმა ტალღებს
ნავოტიც არ დაანება.

რაც წაიღო კალმანთრამ
ხალხმა სწრაფად განაახლა,
ისე შეკრა სახლის ზღუდე —
ვერას აკლებს ტალღა ახლა.

ცისფრად ელავს აივანი,
კალმანთრას გადაჰყურებს
და კალმახებს აკვირდება
ნაპერწყლებად გაფანტულებს.

მთის კალთაზე სოფელია,
ნაირფერად დახატული,
ცხრა მთა აკრავს სოფელს ირგვლივ,
ცხრა ჩაუდის ნაკალული.


ცხრა მუხა დგას სოფლის თავში,
ცხრათვალა მზე ფანტავს სხავებს,
ლაპით მშვიდად მძინარ სოფელს
მთვარის შუქი დასციმციმებს.

ბიბინებენ სათიბები,
ხეხილების ჯარი მღერის.
სკოლისაკენ წიგნით ხელში
მიდის ორი პიონერი.

ერთს ცისფერი თვალები აქვს
და მეორეს — თაფლისფერი,
ყელსახვევი უფრიალებთ,
აღისფერი ყელსახვევი.

მიდის ორი პიონერი,
წინ გზა უღვეთ დადაფნული,
მიდის ორი კოხტა ბიჭი —
ჩემი ქვეყნის გაზაფხული.





მ. შიგლოროვა

ნახ. კ. მახარაძისა

გზა ცხოვრებისაკენ*

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი მ ო თ ხ რ ო ბ ი ღ ა ნ)

წ ა ვ ი ღ ნ ე ნ ...

ექვსი საათი არ იქნებოდა, კარებზე რომ მომიკაკუნეს.
— სიმონ ათანასეს-ძევ! — უუკოვი გაფითრებულიყო, მი-
სი ხმა აღევლებულად უდერდა. — სიმონ ათანასეს-ძევ...
კოროლი წასულა... პლეტნიოვიც და რაჭუმოვიც...

მის უკან ახალგაზოგობრივი, დილის სიცივისაგან აკან-
კალეული პეტკა იდგა; დაბნეულად ინაცვლებდა ფეხს და
თვალეებს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა.

— სიმონ ათანასეს-ძევ, იმათ... იმათ საყვირი წაუღიათ!
— წარმოთქვა მან და უცებ ღოყებზე მსხვილი კურცხლები
ჩამოუგორდა. — სი-მონ ათა-ნასეს-ძევ! სა-ყვირი წა-აუ-
ღიათ! — ატირებული ხმით გაიმეორა მან.

— შეუძლებელია! — ესლა მოვახერხე პასუხად.

— წასულან — საყვირიც აღარ ჩანს, — დადასტურა
უუკოვმა.

სიმათლე რომ ვთქვა, თითქმის დარწმუნებული ვიყა-
ვი, რომ კოროლი დარჩებოდა. თუმც არა მპასუხობდა, მაგ-
რამ მახსოვდა მისი სახე, თვალები, მისი დაშტერებული მწე-
რა და ისიც, თუ როგორ მიიხრა: „ღამემშვიდობისათ, სიმონ
ათანასეს-ძევ!“ და მაინც წავიდა. ამაო იყო ჩემი ცდა, ჩე-
მი საუბარი მასთან, მისი გულის მოსაგებად. კარგი, ასე
იყოს, მაგრამ წასვლისას საყვირი მოიპარა? არა, ეს შეუძლე-
ბელია!

სანაასთვის არ მიპასუხნია, სასადილოში შევაბიჯე. საყვი-
რი უოველთვის სასადილოში ეკიდა ხოლმე, კარების პირ-
დაპირ; სასიამოვნოდ ბრწყინავდა მუდამ, სახელურზე პაწია
წითელი ალაში ჰქონდა ჩამოკიდებული. ახლა კი საყვირი
აღარ ჩანდა.

— მაშ, ასე... შენ მორიგეობდი, ალექსანდრე! მოგვიყვირი.
კოროლი, რაჭუმოვი და პლეტნიოვი, აღბათ, ფანჯრიდან
გადაძვრნენ. პეტკა იფიცებოდა, რომ მისი მორიგეობის
დროს მათ კორიდორში არ გამოუვლიათ. ამასვე ადასტუ-
რებდნენ დანარჩენი მორიგეებიც. შესაძლებელია კოროლი
საძინებელში არც კი ამოსულა და, უბრალოდ, სტვენით მი-
იხმო მეგობრები, თუ კი ისინი წინასწარ დათქმულ ადგილზე
არ უცდიდნენ კოროლს.

„ეშმაკები! გაიძვირები! უსინდისობები!“ — გაისმოდა

ყოველი მხრიდან. მაგრამ მე მაინც ზოგიერთ მხიარულ სა-
ხეებსაც ვამჩნევდი, თვალეებში ბოროტი ცეცხლი რომ უთა-
მაშებდათ. რეპინი ირონიულად იცინოდა. კორობოჩკინი და
სურჟიკი უწინდელზე უფრო ღრმად ჩაფიქრებულიყვნენ.
მესამე რაზმში სრული დაბნეულობა მეფობდა. დაბალი,
მკვრივი ვალოდინი ფრენბურთის ბადესთან იდგა და, თითქოს
რალაცის პასუხად, ჩუმად იჩეჩავდა მხრებს.

კოსტიკა მიჯაჭვულივით უკან დამდევდა, სახეში შემეუ-
რებდა და იმეორებდა:

— სად არის კოროლი?! — ლენინგრადში წავიდა, ხომ?
სალამოს ჩამოვა, ხომ?

მე კი სრულებით არ ვიცოდი რა მეპასუხა.

— სიმონ ათანასეს-ძევ, — გავიგონე ზურგს უკან. — მე-
რედა კოროლს ხომ არ წაუღია საყვირი?

უუკოვს ხელები ჯიბეში ჩაეყო, იდგა და სერიოზულად
მომჩერებოდა სახეში, რალაცას ფიქრობდა.

— მაშ, ვინ?

— არ ვიცი. ოღონდ ის არ წაიღებდა!

— ...მეც ასე ვფიქრობ.

ნავაზშმევს მესამე რაზმის საძინებელ ოთახში შევედი.

არც ერთ ბავშვს არ ეძინა. ყველამ წამოიწია და კითხვის
ნიშნად მომაჩერდა. მე ვალოდინის საწოლზე ჩამოვჯექი.

— რაო, დაობლივით?

ყველამ ერთხმად დაიყვირა და პასუხიც მოულოდნელი
იყო:

— რასაკვირველია, გული გწყებდა, რომ წავიდა! ჩვენ-
თვის კი უკეთესია. კოროლს ყვირილით გაჰქონდა თავისი:
ვერ შევედავებოდით, მუშტიც მეტად მძიმე ჰქონდა, ყველამ
იცის... განა სტეკლოვის რაზმში ასეა? ან, უუურეთ უუკოვს,
მისი არავის ეშინია, წესრიგი კი არის!

— მაშ აქამდე ჩუმად რად იყავით?

— რა გვექნა? ჩვენ ისე...

— რატომ სდუმდით, გეკითხებით? გცემდათ თუ?

— არა, ახლა აღარ გცემდა... ეს წინათ... მაგრამ თუ წი-
ნალმდე წავიდოდით... ისე შეგვანჯღრევდა და გაგვიშლი-
და, რომ...

— მაშ, გცემდათ?

— არა, სიმონ ათანასეს-ძევ, არა გცემდა. უბრალოდ ქე-
ჩოში ჩავავლებდა ხელს და ისე...

ვერაფერი გავიგე. ისევ ერთხმად მარწმუნებდნენ, რომ

* დასასრული. იხ. „ბიონერი“ № 6.

კოროლი კი არა გვცემდაო, მხოლოდ გვეცემოდა და ისე გავიშლიდაო.

— ახლა ვიღას აირჩევთ ხელმძღვანელად?

— არავის! — იყო ერთსულოვანი პასუხი.

— კარგი. პირველ ხანებში მე ვიქნები თქვენი ხელმძღვანელი. ვალოდინს თანაშემწედ ვნიშნავ. ქეჩოში არა გწვდებით, მაგრამ წესრიგს კი მოვიზიზღოვ. გასაგებია? ახლა კი დაიძინეთ!

გუნება დამძიმებული მქონდა. მინდოდა კაბინეტში ჩავკეტილიყავ და აღარ გამოვსულიყავ, მაგრამ ამის ნებას ჩემ თავს ვერ ვაძლევდი.

ვწანობდი, რომ კოროლს მაშინვე არ ვუთხარი: „დარჩი-მეთქი“. რად ვუმტკიცებდი, რომ მას ოთხივე მხარეს შეემლო წასვლა, რომ მე მას არ დავაკავებდი. რად ვიყავი ასე დარწმუნებული, რომ უსათუოდ დარჩებოდა! ბიჭუნა უკვე სწორ ადამიანურ გზას დაადგა. რა საჭირო იყო მისი გზიდან აცდენა. ახლა რაღა ვქნა? მაინც რა დემარტა ნეტავ საყვირს? შეუძლებელია კოროლს წაეღო საყვირი.

რაც არ უნდა ყოფილიყო, დღე მაინც თავისი წესრიგით მიდიოდა, მეც ბავშვებთან ვიყავი: მათთან ვმუშაობდი, მოსადამოვებულს უუკოვთან ჭადრაკს ვთამაშობდი, მაგრამ ერთი წუთითაც არ შევებოდა ფიქრი გაქცეულთა შესახებ. ეს უბრალო ფიქრი კი არა, ტკივილი იყო. განა შემიძლია არ განვიცადო ის, რაც წინა დამით მოხდა? განა შემიძლია გულის ტკივილი არ განვიცადო? შესაძლებელია სხვა სპეციალობის მქონემ გვერდი აუხვიოს სულიერ ტანჯვას, მაგრამ ჩვენი...

ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ა ლ შ ი

ზშირად მიხედებოდა ლენინგრადში ჩასვლა, დიხანს ვიჯექი ხოლმე გორონოში და თვალყურს ვადევნებდი პედინსტიტუტის კურსდამთავრებულებს. სურვილი მქონდა წინასწარ მოვლაპარაკებოდი ადამიანს, ვიდრე ბერიოზოვია პოლიანა.

ში გამოგზავნიდნენ. თუ თანამშრომელი გამოგიგზავნის გვიანლაა კამათი! მე ხომ უბრალოდ „გამოგზავნილი“ ვარ, არ მინდოდა, ისეთები მესაქიროებოდა, რომლებიც თავიანთი სურვილით წამოვიდოდნენ ჩვენთან.

იმ სამახსოვრო ივნისის დღეს, კოსტიკას წაყვანა მომიხდა ლენინგრადში. მისთვის ფეხსაცმელი უნდა მეყვია.

— ფეხსაცმელი კარგად მოარგე — არ მოუჭიროს. ისეთივე იყიდე ლენასთვისაც, — მავალბდა გალია.

— ლენასაც წავიყვან!

— ერთიც საკმარისია. ზომა ორივესი ერთნაირია. როდის დაგზავდეთ მატარებელზე?

ლენინგრადის რკინიგზის სადგურიდან მე და კოსტიკა ფეხით წავედით. კარგია ლენინგრადი, გარემოცული ჯერ კიდევ მტვერდაუყრელი მწვანით... დღეს ქალაქში ბევრი საქმე მაქვს. მივდივარ და კოსტიკა უცებ ადგილზე გაშეშდა. თვალმებს ახამხამებს და პირს ადებს. მე ირგვლივ ვიყურები: რა დემარტა, რა დანახა? ჯერ არც კი გამეგო რა მოხდა, რომ კოსტიკა ადგილს მოწყდა და სადღაც, მარჯვნივ მიბრბის.

— კოროლ! — ყვირის მთელი ხმით. — კოროლ!

იასამნის ბუჩქის ძირას საქაშე ზის დამონძილი რუხი ფიგურა. იქვე გაზეთის ნაგლეჯზე ფუნთუში და კიდევ რაღაც საქმელები აწყვია. გაუგებარია, როგორ შეიძენო კოსტიკამ შორიდან ამ ფიგურაში კოროლი; ყვირილით მივარდა ჩამოძონძილ ბიჭს:

— კოროლ... კოროლ!...

— კოროლ! — დავუძახე მეც.

იგი წამოდგა.

მე მინახავს ეს სახე მხიარულიც, გაბოროტებულიც და დამცინავიც. მინახავს იგი სევდიანიც და ჩაფიქრებულიც — უკანასკნელად ჩვენი შეხვედრისას. მაგრამ არასდროს ჩემს მეხსიერებაში არ ყოფილა იგი ასეთი უმწეო და საცოდავი. კოროლმა მხრებში ჩასქიდა ხელი კოსტიკას, — შეშინებული



ნავაშმევეს მესამე რაზმის საძინებელ ოთახში შევედი. არც ერთ ბავშვს არ ეძინა.

და გაკვირებული შემომუხრებს. კოსტიკამ თავი უკან გადასწია და კოროლს ღიმილით მიაჩერდა...

— სად იყავი? ხომ წამოხვალ ჩვენთან სახლში? მამა, ჩვენთან ერთად წამოვა?

მიხაროდა, რომ კოროლს ვხედავდი. მის სახეზე გაკვირვება, შიში, აღშფოთება თითქოს თანდათან ჰქრებოდა და რაღაც ახალი გამომეტყველებით იცვლებოდა. სკამთან იდგა, ხელები კოსტიკას მხრებზე დაეყრდნო და ძველებურად, როგორც იცოდა, პირდაპირ თვალბში მომჩერებოდა.

— გამარჯობა, — ვუთხარი როგორც იყო და სკამზე დავეშვი.

— რაზე მოვი და პლეტნიოვი სადღა არიან?

— პლეტნიოვი არ არის... რაზე მოვი კი აქაა. მე და ის სამხრეთისაკენ ვაპირებთ.

მისი მოყვითალო თვალები ძველებურად ისევ ლაღად, გამბედავად გამოიყურებოდნენ, ხმაც ძველებურად დამოუკიდებლად და გამომწვევად უღერდა.

— ჩქარა, შინ წავიდეთ, — თქვა კოსტიკამ.

მე ვდუმდი. კოროლი მიბრუნდა და ხმადაბლა, ისე რომ კოსტიკასთვის არ შეუხებდავს, თქვა:

— ვერ წამოვალ, კოსტიკა!

— არა, წავიდეთ! მამა, უთხარი რამე!

კოროლი სწრაფად მობრუნდა ჩემსკენ:

— ვერ წამოვალ, — ჩაილაპარაკა სწრაფად, ლულულდით, რითაც უცებ დაკარგა დამოუკიდებლობა. — მე იქ საჭირო არა ვარ, რისთვის უნდა წამოვიდე? ჩვენ სამხრეთში წასვლა გადავწყვიტეთ, რატომღა უნდა დავრჩე?... რაზე მოვიც არ დამეთანხმება...

— მე კი შეგონა, — წარმოვთქვი დინჯად, — მე კი ვფიქრობდი: კოროლი, ალბათ, ახალ მშენებლობაზე გაიქცა-შეთქი... მაგნიტკაზე...

კოროლი დაბნეულად მიყურებდა.

— მშია, — მოულოდნელად თქვა კოსტიკამ.

— ჭამე. აიღე ფუნთუში და ძებვი, აჰა... — კოროლმა სასწრაფოდ ამოიღო ჯიბიდან დანა, გაწეთის ქაღალდზე გაწმინდა, მოჭრა ფუნთუშის და ძებვის ნაქერი და კოსტიკას გაუწოდა.

— გმადლობთ!

და კოსტიკა მადიანად შეექცა პურსა და ძებვს.

— სიმონ ათანასეს-ძევ, — თქვა კოროლმა, — როგორ არიან ბავშვები? არ გაქცეულან?

მე მივაჩერდი.

— შენც კარგად იცი, რომ არ გაქცეულან, ყველა ადგილზეა. რაზე მოვის, პლეტნიოვის და შენს გარდა არავინ წასულა.

— როგორ ცხოვრობთ?

— ანა დავდგით, — ამცნო კოსტიკამ. — თან გულიანად შეექცეოდა ძებვს. — ბიონერები გვესტუმრნენ დოლით... კალათბურთი ითამაშეს ჩვენთან.

— შერე?

— წავაგეთ.

— წავაგეთ? სიმონ ათანასეს-ძევ, დიდები იყვნენ?

— ჩვეულებრივი ბიონერები, ცამეტი წლისანი.

— შერე და ჩვენებმა წავაგეს?

— წავაგეს.

კოროლმა მოწყენით ამოიხარა და უცებ აღმოხდა:

— ვინ თამაშობდა? შუკოვი, სტეკლოვი... რებიანი? რებიანი თამაშობდა? და წავაგეს... ოხ, ეშმაკები! ნუთუ ვალოდინი უჩვენოდ დარჩა და მინც არ წავიდა? რაზე მის ხელმძღვანელი ვინ არის? ვალოდინი? ეს კი მესმის! ახალი ბავშვები არა გყავთ? — სულმოუთქმელად კითხულობდა და კითხულობდა, ცოცხლად წარმოიდგენდა ყველას და ყველაფერს, არაფერი დავიწყებოდა, ყველაფერი ახსოვდა...

— ყური დამიგდე, დიმიტრი, — მივმართე მე, — სისულელეს თავი დაანებე და წავიდეთ!



იასამნის ბუჩქის ძირას სკამზე ზის დაძინებული, რუხი ფიგურა.

— რაზე მოვი? — შემეკითხა პასუხის გაუცემლად.

— ზოძებნე და ყველანი ერთად წავიდეთ.

— ის ახლავე მოვა აქ.

— ძალიან კარგი.

დავჩუმდი. გამოცდელი თვალებით მომჩერებოდა.

— სიმონ ათანასეს-ძევ, მიწყურებით?

— არა. მაგრამ არ მესმის, როგორ შეგეძლო წასვლა. ვერ გამოვიდა...

— სიმონ ათანასეს-ძევ... — უცებ ჩურჩულზე გადავიდა, თითქოს კოსტიკას გარდა კიდევ ვინმე მოგვისმენდა, — მე მაშინ დარჩენა გადავწყვიტე. თქვენგან რომ გამოვიდე, თუ გახსოვთ, უკვე დამე იყო, — პლეტნიოვი დამიხვდა და მეუბნება: „მჩვარი ხარ, გადაგიბირეს!“ ჰოდა, მეც წავიდი.

— აი, სწორედ აქ მოიქეცი მჩვარივით.

— მე და რაზე მოვის არ გვინდოდა... მაგრამ რაზე მოვი პლეტნიოვის ვერ შეედავა. იგი პლეტნიოვის ყოველთვის უჯერებდა.

— შენ?

კოროლმა ხელი ჩაიქნია. მას ჩემი შეკითხვებისათვის არა სცალიოდა, უნდოდა ყველაფერი ჩქარა, ბოლომდე ეთქვა.

— ჩამოვედით ლენინგრადში და წავიხსუბეთ. ყველაფერი უკულმა მიდის. არაფერზე გული არა მაქვს. პლეტნიოვმა თქვა: „მოწამლულებივითა ხართ! წავალ თქვენგან, — ჯანაბანს, იტირებთ კიდევაც უჩემოთ!“ და წავიდა. მაგრამ არც ის ვარგა უჩვენოდ, დაბრუნდება, ჩვენ კი ვეღარ გვიპოვნის — რა ვქნათ?

— მოიფიქრე, როგორ გააფრთხილო. თვითონაც მიხვდება სხდ მოგძებნოთ.

— ამაყია, ბერიოვოვიაში არ წამოვა.

— ამაყი კი არა — შფოთიანია, გესმის? სულელი მამლაყინწაა, მორჩა და გათავდა!

ქვიშათის ბანაკში

ქვიშეთელი არ გახლავარ,
მაგრამ იგი მიყვარს ისე,
რომ მის ნაძვანარს და წყაროებს
მშობლიურად შევეთვისე.

წელსაც მოველ და ქვიშეთის
იმ ბანაკში დაგზანაკდი,
სადაც ბევრი მეგულეა
საყვარელი ამხანაგი.

პიონერულ აღამს გავშლით,
ვით მტრედის ფრთა, ცას მიწვდება,
დაიქუხებს საყვირები
და შეკრება დაიწყება.

რაზმის უფროსს პატაკს მიცემთ,
თან აღმართავთ შუბლთან ხელებს,
რომ სწავლით და ვაჟკაცობით
დიდ სამშობლოს ვასახელებთ.

გავიხარებთ, გავლადებით
სიმღერით თუ ველზე რბენით,
ღამით კოცონს გავაჩაღებთ —
ცას ლოკავდეს ცეცხლის ენით.

პარკში ვივლით, მცხუნვარე მზე
ვიდრე მთებში არ ჩაჯდება;
აქ გონება გამდიდრდება,
აქ სხეული გააკჟდება.

მისთვის მოველ ამ ბანაკში,
მისთვის ვილხენ და ვიმღერი,
რომ ჩემს სკოლას დავუბრუნდე
ჯანმრთელი და ბედნიერი!



საიდანღაც ბუჩქების იქით ფრთხილი სტვენა მოისმა. კო-
როლი მიტრიალდა, წამოდგა და ხმადაბლა გამოეხმაურა:

— მოდი, მოდი, ნუ გეშინია!

მეც წამოვდექი. ბედნიერი სახით რაწუმოვი უკვე ჩვენ-
სკენ მორბოდა.

— მე კი გიყურებ: ვისთანა დგას-მეთქი?! — მოლაპარა-
კობდა გზადაგზა. — გამარჯობათ, სიმონ ათანესეს-ძე! ვი-
ფიქრე გება-მეთქი კოროლი; ვერ გადამეწყვიტა, მოვსული-
ყავ თუ არა.

— წავიდეთ... — თქვა კოროლმა. — ახლავე შეგვიძლია
წასვლა, თუ თქვენ კიდეც გაქვთ საქმეები?

— წავიდეთ... სადა ხარ, კოსტიკ?

კოსტიკაც მაშინვე გაჩნდა, შენიშნა რაწუმოვი და გაუ-
ხარდა:

— ვალოდიაც!

— ჰო, მეც. გამარჯობა, კოსტიკ! — გამოეხმაურა რაწუ-
მოვი, ლურჯი თვალები ალერსიანად მოჰუტა და გაუღიმა.

მივაბიჯებთ ოთხნი: კოსტიკა, ორი ჩამოძონძილი მოზარდი
და მე. ვინმემ, რომ შემოგვხედოს — უცნაური კომპანია
ვართ.

— უპატრონო ბავშვები მოყავთ? — თქვა ათიოდე წლის
გოგონამ.

— არა მგონია, ბავშვი ახლავთ... — მოაღწია ჩვენამდე დე-
ლის პასუხმა.

კოროლმა მხრები შეიშმუშნა.

— ცხადია, უპატრონოები, — ჩაიცინა მან.

— მართლაც, მე და შენ ისე გვაცვია, რომ... — წარმოთქვა
რაწუმოვმა.

ისევ ვაგონში ვართ. კოსტიკას ახლა უკვე ფანჯარაში ყუ-
რება აღარ აინტერესებს, კოროლს თვალს არ აცილებს:

— აწი აღარ წახვალ, ხომ?

— აღარ! — მხიარულად უპასუხა კოროლის მაგიერ რა-
წუმოვმა.

გზაში ორივენი საბავშვო სახლზე გვეკითხებიან. კოროლი
სწრაფად და ხარბად, თანამიმდევრობით კითხულობს ყვე-
ლაფერს, რაწუმოვი ხანდახან თუ ჩაუერთავს სიტყვას.

ამგვარად, სწრაფად გაიბრინა ჩვენმა არც თუ ისე მოკლე
გზამ. ვაგონიდან გადმოვედით. წვიმას გადაეღო და როდესაც
ბერიოზოვას ქალას მივუახლოვდით, მზემ ღრუბლებიდან
გამოანათა, გაცოცხლდა სუფთად პირდაბანილი გარემო,
აბრკვევიდა თეთრი არხები. ყველაფერი განათებულია
მზით, თითქოს ყველაფერი გამჭვირვალეა; ვუყურებ კო-
როლს და მასაც იგივე დაემართა: მის სახეს ჩრდილი ჩამოს-
ცილდა. თითქოს სასაცილოა ასეთი გამოთქმა მოზარდის მი-
მართ, მაგრამ ეს ნამდვილად ასეთა: გაახალგაზრდავდა, ნაბიჯს
ისე მოუჩქარა, რომ კოსტიკა ვეღარ გვეწევა. ჩემი პატარა
მხრებზე შევიხვი და თითქმის სირბილით შევდივართ საბავ-
შვო სახლისაკენ. როდესაც საგუშაგოს ას ნაბიჯზე მივუახ-
ლოვდით, კოსტიკამ სახე ხელებით მომიტრიალა და შეშინე-
ბული შემეკითხა:

— მამა! ფეხსაცმელები?...

შესასვლელთან სერგეი სტეკლოვი გამოჩნდა — მორიგე
მეთაური. რაღაც უნდოდა ეთქვა და ისევე დარჩა პირდაღე-
ბული.

— გამარჯობა! — შეესალმა კოროლი.

— გამარჯობა! — ენოსავით გაიმეორა რაწუმოვმაც.

ამ დროს მე არავინ მელოდა, ისიც ასეთი თანამგზავრებით.
მაგრამ „უშავთულო ტელეფონი“ შეუფერხებლად ამოქმედდა.
ვიღაცამ საძინებელი ოთახის ფანჯრიდან გამოიხედა, ვიღა-
ცამ სახელოსნოს კარებიდან; ვიღაც კისრისტენით დაეშვა
კიბებზე. ვერ ჩუმაღ გაიშრიალა ჩურჩულმა, შემდეგ კი
ხმამაღლა მოედო მთელ საბავშვო სახლს:

— კოროლი!... კოროლი ჩამოვიდა! რაწუმოვიც!

თარგმნა თამარ მთვარელიწვილია

ნაყუმბარადი

(გ ა ლ ა დ ა)

უზარმაზარ ორმოს ნახვით
კრასნოდარის ახლოს;
ორმოს იქით ორმოცამდე
კოლმეურნე სახლობს.

სოფლის თავში ნაკადული
მოჩქევს უკვდავება.
მოჩუხჩუხებს, მაგრამ წყალი
ზაფხულობით შრება.

თურმე სოფელს თავს დაესხა
ფაშისტების სვავი,
თავს დაესხა და ავარდა
ცაში კვამლი შავი.

დარჩა მიწა გადამწვარი,
გაპარტახებული,
სოფლის ბოლოს ორმო გაჩნდა
ხანადაღებული.

უზარმაზარ ნაყუმბარალს
ახლაც ნახავს მგზავრი,
მაგრამ ახლა ის მიდამო
სულ სხვაგვარი არის.

შეწყდა ომი და ზავშეგებიც
დაუბრუნდნენ სკოლას;
გამრჯე ხალხმა ხელი მიჰყო
ბაღ-ბოსტნების მოვლას.

სოფლის თავში ნაკადული
ჩუხჩუხებდა, მაგრამ
გაქრებოდა, როცა მიწას
დასცხებოდა მაგრად.

ყვითლდებოდა გვალვისაგან
სკოლის ბაღი, ბაღა.
დიდი საქმე განიზრახა
ერთხელ ოცმა ზავშემა.

დიდი საქმე გადაწყვიტა
პიონერმა ოცმა,
მათმა ზრახვამ და მიზანმა
ბევრი გააოცა.

იმ დროს, როცა ზაფხულობით
ნაკვეთს აკლდა წყალი,
ალარ ჩანდა ნაკადული
ხევში ამომშრალი,

ჩაყვითლებულ, დამკვნარ ბაღნარს
როცა აკლდა წვიმა,
მაშინ ოცი პიონერის
აზრმა გაიბრწყინა.

ნიჩბებით და წერაქებით
მიწა თხარეს სამ თვეს,
არ არცხვენდნენ ოცივენი
პიონერის სახელს.



შემოდგომის დამდეგამდე
ღვარეს ოფლის ღვარი,
არხი გაჭრეს. დაირეკა
მათი სკოლის ზარი.

სკოლის ზარი დაირეკა
და ზავშეგები მაშინ
შემოუსდნენ ახალ მერხებს
რვეულებს გაშლით.

ერთი ნატვრა აღეღებდა
სოფლის გამრჯე ზავშეგებს:
გაზაფხული კვირტებს ნეტავ
როდის გამოაჩენს?

აი, დადგა ღეკემბერი,
წამოიწყო თოვა.
ნატრობს ყველა: გაზაფხული
ნეტავ როდის მოვა...

დიდმა თოვლმა გადაფარა
მათი ვიწრო „არხი“.
მათ რუ არხად გადანათლეს,
იციხოდა ხალხი.

ზოგიერთებს არ სჯეროდა
მათი ნახვლარის,
აი, თითქმის მიიწურა
ზამთრის ნახევარიც.

ბოლოს დადგა თბილი მარტი,
დნობა იწყო თოვლმა,
წარმოუდგათ ზავშეგებს არხი
ვოლგა-დონის ტოლად.

კვლავ გაოცებდა ნაკადული
და პატარა „არხში“
აქდურტულდა ლურჯი წყალი,
როგორც თოთო ზავშეგი.

რუ გზავნიდა იმ ორმოსკენ
თოვლ-ყინულის ნაყურს,
ცივ ნაკადულს, ვით გაზაფხულს
და სიხარულს ზავშეგურს.

რუ კი არა, „გრძელი არხი“
იყო წყალით სავსე,
ორმო—შავი ომის კვალი—
ივსებოდა ასე.

გადიოდა სოფლის გულში,
როგორც ლურჯი ძარღვი.
ჩუხჩუხებდა ნაკადული
ტალღებწვიდა, ლაღი;

ირწყებოდა მიწა ომით
გაპარტახებული...
ივსებოდა დიდი ორმო—
ხანადაღებული.

ჰე, ზაფხული დადგა ბოლოს
არხში ჩაშრა წყალი;
გადახედა ხალხმა ორმოს
და ზედ დარჩა თვალი.

ტბა ლურჯ ტალღებს აღეღებდა
მინდვრად, სოფლის ბოლოს,
და შორიდან ჰგავდა ნამდვილ
თვალმარგალიტს ოზოლს.

ალარ ჩანდა მის გარშემო
ველი ნახშირ-ნაცრად,
ტბა ზაფხულში დიბადა
ნაკადულის ნაცვლად.

რწყავდა იგი სკოლის ნაკვეთს,
ახალჩარგულ ნერგებს,
მაგრამ მაინც გულში რაღაც
აკლდათ პიონერებს.

ასეთი ტბა არასოდეს
არ უნახავთ არსად.
რა უწოდონ? ზღვა უწოდონ
ციმილიანსკის მსგავსად?

ვერ ეპოვათ მათ სახელი
შესაფერი მისი,
ტბა ღელავდა ზავშეგებივით,
ტბა—სახელის ღირსი.

ბოლოს ფიქრი და ოცნება
ნაყოფს გამოისხამს:
„პიონერთა ზღვა“ დაარქვეს
ყმაწვილებმა იმ „ზღვას“.

რად მიყვარს დედა

გაქორცვებაში იყო სოსო. დღეისათვის მასწავლებელმა უცნაური საშინაო დავალება მისცა. არ იცოდა სოსომ საქმიანობის თვის როგორ მოეხდინა. სანამ პირველ წინადადებას დაწერდა, კალამი მელანში ჩააწო და დაფიქრებული მიაჩერდა რომელიღაც წერტილს კედელზე. ოო, ეს ქართული ენის მასწავლებელი! ზოგჯერ რა უცნაურ რამებს მოიგონებს ხოლმე — „რად მიყვარს დედა“ მოდი და დაწერე, რად გიყვარს დედა იმიტომ მიყვარს, რომ — დედა! დედა ვის არ უყვარს?! მაგრამ, როგორ მიყვარს და რად მიყვარს, აი, ეს კი ცოტა ძნელი გამოსათქმელია!

თუმცა, სოსოს ამაზე უფრო რთული დავალებებიც შეეხსრულებოდა... და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, როგორც იქნა, სოსომ პირველი წინადადება გამოიყვანა: — „დედა მე ძალიან მიყვარს!“

სოსო უფრო მარჯვედ მოთავსდა მაგიდასთან. სიჩუმე იყო. მღვიძარა საათის წიკწიკის გარდა სხვა არაფერი არღვევდა სახლში გამეფებულ მყუდროებას. მეორე ოთახში საწოლი აპრიალდა.

— სოსო, შეილო, 12 საათი შესრულდა, დედა გენაცვალის, წამალი მოსატანი! — მოესმა სოსოს დედის ხმა. მესამე დედა, ქეთევანი ლოჯინში წევს. გუშინწინ, სამსახურიდან რომ ბრუნდებოდა, გზაში წვიმამ მოუსწრო, გაცივდა და აი, ახლა სიცხე აწუხებს. ექიმს მეზობელმა გამოუძახა. ქეთევანი მთლად სოსოს იმედზეა, მაგრამ, როცა შვილი სკოლაში მიდის, ქეთევანს კარის მეზობელი თინათინი უვლის, საოჯახო საქმესაც ის ასრულებს. მართალია, სოსო უკვე მოზრდილი ბიჭია, მაგრამ არც ისე დიდია, რომ ყველაფრის გაკეთება ეხერხებოდეს. ახლა კი შვილმა რატომღაც პასუხი არ გასცა დედას.

— სოსო, წამალი მოსატანი! — განიმეორა ქეთევანმა.
 — მოიცდიან აფთაქში! — ცოტა არ იყოს უხეშად გამოუვიდა წერაში გართულ სოსოს.
 — რაო? — გაუკვირდა ქეთევანი.
 — კარგი რა, დედი! არ დამაცლი?! ხომ ხედავ, გაკვირდილს ვამზადებ...

იქნებ, ასეთი ძნელი დავალება რომ არ ჰქონოდა სოსოს, არც ასე უგულოდ ეპასუხა დედისათვის. მაგრამ ახლა ამისათვის ვერ მოიცილს. ვე კი არა და, წეტვე სადმე ისეთი წამალი გამოიჩინებოდა, რომ სოსოს უწამლოს და მალე მორჩეს ამ უცნაურ დავალებას.

ქეთევანი მოეშვა შვილს: „დაე, იმეცადინოს, მე უწამლოდაც ვიქნებიო“, — გაიფიქრა, მაგრამ გულში რაღაც წაღველმა გაჰკრა, რაკი შვილი ასე დაუდევრად მოექცა დედას. ქეთევანი ომში დაღუპული ქმრის სურათს დააცქერდა, რომელიც იქვე, საწოლთან, კედელზე იყო დაკიდული.

ამ თვის გასულს თორმეტი წელი შესრულდება, რაც ქეთევანმა მეუღლე დაჰკარგა. ომი მიწურულს იყო, როცა ნიკოლოზი ჰოსპიტალიდან გამოეწერა და მეორედ გაემგზავრა ფრონტზე. წავიდა და აღარც დაბრუნებულა. დარჩა ქეთევანი სოსოს ანაბარა. სხვა აღარავინ გააჩნდა, გარდა შორეული ნათესაებისა, და ქეთევანმა გადაწყვიტა, სოსო ისეთ პატიოსან, კეთილშობილ ადამიანად აღეზარდა, როგორც იყო მისი მამა — ნიკოლოზი.

სოსო წერას განაგრძობდა:
 „დედა მე იმიტომ მიყვარს, რომ მასმეცს, მაქმეცს...“ ეს „მაქმეცს“ არ მოეწონა, წამალი და „მანუარეს“ დაწერა. ცოტა რომ დაფიქრდა, მიუღწეა წინადადებას გადაუსვა ხაზი.



— რატომ არ გამოდის, პა? — დაიჩვილა სოსომ.
 რაც მეტს ფიქრობდა სოსო, მით უფრო გრძობდა დავალების სირთულეს. მაგრამ ამასთან ერთად თანდათან უღვივდებოდა გიჟი სურვილიც — რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, კარგად დაეწერა დღევანდელი საშინაო დავალება. მზად იყო მთელი დასვენების დღე ამისათვის შეეწირა, ოღონდ ეს უცნაური დავალება კარგი და ლამაზი გამოსულიყო.

კარზე კაკუნი გაისმა.
 — სოსო, ვიღაცაა, გახედე! — კვლავ გამოსძახა ქეთევანმა.
 — დედა! აღარ დამაცლით, კაცო? ხან წამალიო, ხან კარიო! გაკვეთილები ვიღამ დაამზადოს?!

სოსო განაწყენებული დააცქერდა თავის დამხანაურს რვეულს.

ისევ აპრიალდა საწოლი. სოსო ფიცხლად წამოხტა და დედისთან გავიდა. ქეთევანი ცალი ხელით ზეკვებზე საბანს იფარებდა, მეორეთი კი საშინაო ხალათის ჩაცმას ლამობდა. სოსო მიხვდა — დედა ადგომას აპირებსო, კარისაკენ გაიქცა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, — თინათინი შემოვიდა.

— ქეთევან, რას ხედავ, ქალო, თავი არ გებრალებს? — იკითხა შეწყუხებულმა თინათინმა.

— არა, მე... მე მხოლოდ... — მას არ უნდოდა მეზობელთან გაემხილა სოსო. წყალი მომწოდო! — შვილს უთხრა.

— აი, დედიკო, დედა თინა მოგაწვდის! შენი ჭირიმე, დედა თინა, მამატიე რა, გაკვეთილები მაქვს სასწავლიო..

— კარგი, კარგი, გასწი!.. უშენოდაც მოვევლით დედაშენს! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა თინათინმა. ის უკვე მიხვდა, რატომაც აპირებდა ადგომას ქეთევანი.

სოსოს გული დასწყვიტა დედა თინას საყვედურმა, მაგრამ თავი ამართლა გულში: „მე რა ვქნა, თუ გაკვეთილები მაქვს სასწავლიო“.

დიდი ხანია, რაც თინათინი წამლის მოსატანად წავიდა. სოსო კვლავ მაგიდასთან იჯდა, ღია ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას და ფიქრობდა. ქუჩა სადმე იყო ხალხით. უცებ სოსოს ყურადღება პატარა ბიჭმა მიიპყრო. ბიჭმა ბურთი ისროლა. ბურთი ხტუნვა-ხტუნვით გადასცილდა ტროტუარს, ქვაფენილზე გადახტა და სახარგო მანქანის ქვეშ შეგორდა. ბიჭი დაუსხლტა დედას და ყვირილით გამოეკიდა თავის ბურთს. დედამ შვილს მკლავში სტაცა ხელი არ უშვებდა ქვაფენილ-



ხე. ბიჭი მინც ძლიერად მიიწვედა ზურთისაკენ. მთელი ქუჩა შეიყარა იმის ყვირილზე.

— დედაააა! — გაიძახოდა ბიჭი. — გამიშვიითი!..

დედა გვერდით ედგა და მინც დედას უხმობდა. სოსო ღიმილით შესცქეროდა პირველ ბავშვს.

როგორც იქნა, ბურთი მოიტანეს და პატარას გადასცეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაწყნარდა იგი. ხალხი იცინოდა.

სოსო მაგიდაზე დაიხარა.

„დედა მასწავლის, როგორ უნდა მოვიქცე ქუჩაში, სკოლაში და ოჯახში...“ — დაწერა სოსომ, და რატომღაც ისევ მალე შეუწყდა აზრი.

სოსომ გაიხსენა, როგორ უჭირდა მარტო დარჩენილ ქეთევანს შვილის აღზრდა. მას შემდეგ, რაც თავი ახსოვდა სოსოს, დედას გვერდიდან არ მოუცილებია იგი, სულ უკან დასდევდა, როგორც კრუსი წიწილეს, დედასა და მამის მაგივრობას ერთად უწევდა. ბევრი, კიდევ ბევრი რამ გაიხსენა სოსომ თავის ცხოვრებიდან. საბოლოოდ, აზრებმა სულ უფრო თავისუფლად იწყეს დენა, თანდათან გამართა ნაწერი და საშინაო დავალება უკვე მზად იყო, როცა კარი ხმაურით გაიღო და ოთახში სოსოს სკოლის მეგობარი ნოდარი შემოიჭრა. ის წუთით შედგა ღია კარებში და სახეგაბრწყინებულმა გასძახა სოსოს:

— სოსო! დაწერე — „რად მიყვარს?“

— სსუ! — დაუტატანა სოსომ და დედას ქურდულად გადახედა, — მას არ უნდოდა შეეტყო დედას საშინაო დავალების შინაარსი და ამიტომაც შეაწყვეტინა ნოდარს ლაპარაკი. მაგრამ ეს უადგილოდ ნათქვამი „სსუ“ რომ გამოესწორებინა, წაძალადევი საყვედურით უთხრა ამხანაგს:

— რა გაყვირებს? ვერა ხედავ, დედა ავად არის!

ნოდარი დედა ქეთევანთან მივიდა და ბოდში მოუხადა.

ბიჭები მეორე ოთახში გავიდნენ.

— დაწერე? — ახლა უკვე ჩურჩულით იკითხა ნოდარმა.

სოსომ რვეული გადაფურცლა. სახე უღიმიოდა.

— ეს არის, ახლა დაეასრულე. წაგიკითხო?

ნოდარმა თავი დაუქნია.

„დედა მე ძალიან მიყვარს! — დაიწყო სოსომ. — დედა მასწავლის, როგორ უნდა მოვიქცე ქუჩაში, ოჯახში და სკოლაში. იგი თვალყურს ადევნებს ჩემს ყოველ ნაბიჯს, მივლის და მარიგებს, რომ მომავალში პატროსანი, სამშობლოს მოყვარული ადამიანი გამოვიდე. ყველაზე მეტად ჩემთვის გული დედას შეხტკივა. გაპირებების დროს ყველა ბავშვი დედას ეძახის საშველად. აი, რატომ მიყვარს დედა!“

— შესანიშნავია! — გულწრფელად უთხრა ნოდარმა. — მე ასეთი კარგი არ გამომსკლია.

ორპირმა ქარმა დაჭროლა. სიჩქარით ნოდარს კარი მჭიდ-

როდ ვერ დაეხურა, ქარს გაეღო და ახლა ოთახში გაბნეული ნიავი ჰქროდა. აღარ იცოდა ქეთევანმა ეტქვა ველოსიპედის კარი მიხურეო, თუ დაეცადა, სანამ სოსო მთლად დაასრულებდა გაკვეთილების მზადებას.

— ნოდარ, შვილო, კარი ღიად დაგრჩენია, იქნებ მიხურაო! — ველარ მითიმინა და გასძახა ქეთევანმა.

სოსო აენტო.

— ეს რაღა იცი ხოლმე, დედი? რაო, მე ველარ დავხურავდი კარებს?! — უკმაყოფილოდ წამოიძახა მან.

— რა ვიცი, შვილო, გულში მთელი დღე ეზოში თამაშობდი, ახლა გაკვეთილებს ვამზადებო და, რომ ველარ იცლი ჩემთვის. განა ყველაფერს თავისი დრო არა აქვს?! დღეს ხომ კვირა დღაა...

— კვირა დღე, კვირა დღე! მაშ აღარ ვიმეცადნო? — აბუზღუნდა სოსო, მაგრამ მიხვდა, რომ არ იყო მართალი და თავი ჩაქინდა. ეტყობოდა სინდისმა შეაწუხა.

— შენ ეი, რა გაბუზღუნებს! — შეუტია ნოდარმა. მერე კარი ფრთხილად დახურა და დედა ქეთევანთან მივიდა, საბანი გაუსწორა ბეჭეებს.

სოსო შუა კარებში იდგა, დაფიქრებული შესცქეროდა, როგორ მზრუნველობით უსწორებდა ნოდარი საბანს. გულში რაღაცამ გაჰკრა ძლიერად. დალონდა.

ბიჭები ისევ მეორე ოთახში გავიდნენ.

— ეს რა კარგი რამ დაგიწერია, ბიჭო! — ერთხელ კიდევ შეაქო ნოდარმა ამხანაგი.

სოსომ რვეული აიღო, მოწყენით გადაავლო თვალი ნაწერს, ერთხანს უსიტყვოდ დასჩერებოდა და უცებ დაკეცა რვეული.

— არა, არ არის კარგი!

— რას ამბობ, როგორ თუ კარგი არ არის? — გაუკვირდა ნოდარს.

— ისე, რომ ამ საშინაო დავალებას მასწავლებელს არ წავუკითხავ.

— რას ამბობ, ბიჭო? დავალება ხუთზე შეგისრულებია და ორიანი გინდა მიიღო?! — მთლად გაოცდა ნოდარი.

— ჰო!... მირჩენია ორიანი დამიწერონ, ვიდრე მასწავლებელი მოვატყუო. — ჩუმად თქვა სოსომ.

— ვერაფერი გამოიგია! რად უნდა მოატყუო? განა არ გიყვარს დედა?

— ჰმ!.. როგორ არ მიყვარს... ძალიანაც მიყვარს, მაგრამ... ეჰ, ერთი სიტყვით, ქართული ენის მასწავლებელს ვთხოვ, ნება მომცეს დღევანდელი საშინაო დავალება ერთი კვირის შემდეგ დაეწერო.

გაოცებული წამოვიდა ნოდარი, ვერ გაეგო, რატომ მიიღო სოსომ ასეთი უცნაური გადაწყვეტილება!



ყ ვ ე ლ ი ე რ ი

ოვანეს თუფანიანი

ზ ლ ა კ ა რ ი



რედ მაგისტრის ჩამოვდი. თქვენს სახლს ვეძებდი და ძლივს მოვაგენი.

— ჰო-და წაილე შენი ავლაღილება და მოგვეყდი თავიდან.

მგზავრმა წამოიკიდა ერბო და ბრინჯი და თავის სოფლისაკენ გასწია.

ქმარი მოვიდა.

ცოლმა უამბო:

— ჰო, ცოტაც გაწყდა დამავიწყდა, როგორც იყო მოვიდა ის შენი ყველიერი და თავისი სარჩო ჯავატანე.

— ვინ მოვიდა? რა გაატანე?

— ყველიერი მოვიდა, ყველიერი, და თავისი კუთვნილი ბრინჯი და ერბო თან წაიღო. როგორც კი დავინახე შარაგზაზე მომავალი, მაშინვე დავუძახე, ავკიდე თავისი საგზალი და ერთი ლამაზად გავთათხე კიდევ.

— აი, ჭირმა გზიღოს, კარგი დედაკაცი შენ იყო.—უპასუხა ქმარმა,— ტუტუცი იყავი, ტუტუცადვე ჩაკვდები... რომელი გზით წავიდა?

— აი, იმ გზით...

ქმარს ბევრი არ უფიქრია, მოახტა ცხენს და გამოუდგა.

ყველიერმა, რომ დაინახა უკანიდან ვიღაცა მოსდევდა, გაიფიქრა: „ეს, ალბათ, იმ ტუტუცი ქალის ქმარი იქნებაო“ და შედგა.

— გამარჯობა, ძმობილო, — მიესალმა ცხენოსანი მგზავრს.

— გაგიმარჯოს!

— გზაზე კაცი ხომ არ დაგინახავს?

იყო და არა იყო-რა, იყო ცოლ-ქმარი. არც თუ ისეთი სიამტკბილობა ჰქონდათ ოჯახში. ქმარი ცოლს ტუტუცს უწოდებდა, ხოლო ცოლი—ყვეჩხს.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ არ ეკინკლავათ.

ერთხელ ქმარმა რამდენიმე ფუთი ერბო და ბრინჯი იყიდა ბაზარში და შინ მოიტანა.

ცოლი ქმარს მივარდა და უსაყვედურა:

— როცა ყვეჩხს გეძახიან, გწყინს ხოლმე, აბა, ერთი მითხარი, რა ოხრად გინდა ამოდენა ერბო და ბრინჯი? მამიშენის სულის მოსახსენებელი გინდა გადაიხადო, თუ შვილის ქორწილს აპირებ?

— არ მესმის რას ლაპარაკობ, დედაკაცო, რის სულის მოსახსენებელი, რა ქორწილი, საცაა ყველიერი მოვა—იმისათვის ვყვიდე.

ცოლი გაჩუმდა და ნვაჭური შეინახა. მაგრამ დრო გადოდა და ყველიერი არა ჩანდა.

ერთხელ ცოლი სახლის წინ იჯდა, დაინახა, რომ ვიღაცა გლეხი შარაგზაზე ჩქარი ნაბიჯით სადღაც მიემართებოდა:

ცოლმა ხელით მზე მოიჩრდილა და მიაცხა:

— ეი, ძმობილო, არ გესმის, გამიგონე, რაღაც უნდა გითხრა!

გლეხი გაჩერდა.

— ძმობილო, შენ ხომ არა ხარ ყველიერი?

მგზავრმა შეატყო, რომ დედაკაცი ცოტა მოიფრთხილდა და თავისთვის გაიფიქრა: „ვიტყვი, რომ მე ვარ, ვნახოთ რა გამოვა აქედან“.

— დიახ, დაოჯან, მე ვარ ყველიერი. რა გინდოდა?

— რა მინდოდა და ის მინდოდა, რომ ჩვენ ვალდებული როდი ვართ ქონება შეგინახოთ, წაილე შენი ერბო და ბრინჯი და ჯანდაბამდისაც გზა გქონია.

— რა გაჯავრებს, ჩემო დაო, მეც სწო-



— როგორ არა, დავინახე.
— რა მიქონდა?
— ერბო და ბრინჯი.

— სწორედ იმას დავეძებ, დიდი ხანა რაც შეგხვდა?

— კარგა ხანი იქნება.

— რომ გამოვუდგე—დავეწვივი?

— აბა საიდან დაეწვივი: შენ ცხენზე ხიხარ, ის ქვეითად მიდის. ვიდრე შენი მერანი ოთხჯერ ფეხს გადაინაცვლებს,— ერთი, ორი, სამი, ოთხი—ის კაცი თავისი ორი ფეხით—ერთი, ორი, ერთი, ორი—უფრო ადრე მივა შინ.

— მაშ რა კენა?

— ერთი გამოსავალი-ლა დაგრჩენია, ცხენს მე ვუყარაულე, შენ კი სირბილით გამოუდგე და იქნება დაეწვიო.

— მართალი ხარ. ასე მოვიქცევი.

კაცი ჩამოვიდა ცხენიდან, ცხენი მგზავრს ჩააბარა, თვითონ კი სირბილით გაუტია ნაჩვენებ გზისკენ.

ამასობაში ყველიერმა ტვირთი ცხენს გადაჰკიდა და გზა აუქტია.

ქმარმა დიდხანს იარა ფეხით, მაგრამ რას აღმოაჩენდა. და როცა დაბრუნდა, არც მგზავრი დახვდა და არც ცხენი.

აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა ხელახლად გაიმართა. ქმარი მალიმალ აგონებდა ერბოსა და ბრინჯს, ხოლო ცოლი—დაკარგულ ცხენს.

მათი ჩხუბი ჯერაც არ გათავებულა. ქმარი ცოლს ტუტუცს უწოდებს, ხოლო ცოლი—ყვეჩხს. ყველიერი კი ისმენს და ხარხარებს.

თარგმანი
ი. ბრიშვაშვილისა



ნინო გუზარაძე

ნახ. გ. თოთბაძისა

სავაბიერო

ერთხელ ქუჩაში ჩემს ტოლ ბიჭთან კაკლაობას ვთამაშობდი. იმან მაჯობა, რაც კაკლები მქონდა სულ მომიგო. შარი მოვდე, არ გეკუთვნის ამდენი კაკლები-მეთქი, და მუშტიც ვუთავაზე. არც მან დამაკლო. ხელი შემომიბრუნა. დავეჭიდე და ისეთი ჩხუბი დავუწყე, რომ გამვლელი და გამომვლელი გარს შემოგვებნია. სად იყო, სად არა, ჩემი თანაკლასელი გიაც გამოჩნდა, მომიახლოვდა და წყნარად მითხრა:

— შეჩერდი, რეზო, რა სიტყვებს ამბობ, წითელი ყელსახვევისა მაინც არა გრცხვენიაო?—თან ბიჭთან დაჭიდების დროს გვერდზე შებრუნებული ყელსახვევი გამისწორა.

მე სულაც არ მესიამოვნა მისი დარიგება, ხელისკვრით მოვიშორე. გია მაშინვე გაბრუნდა, სიტყვაც არ შემოუბრუნებია ჩემთვის. მეორე დღეს კი, ორიანი რომ მივიღე, ასე მითხრა:

— გუშინ რომ არ გეჩხუბა და გაკვეთილები გესწავლა, ის უფრო მოგიხდებოდაო. არც ეს მაკმარა და რამდენიმე დღის შემდეგ კედლის გაზეთში

გამომჭიმა. ჩვენი სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ვინც იცოდა და ვინც არა, ყველას გააგებინა ჩემი ამბავი.

აბა როგორ უნდა მეპატიებინა? გადავწყვიტე საშაგიერო გადამეხადა.

ერთხელ, გაკვეთილები რომ დამთავრდა, ერთი ჯგუფი მოსწავლეებისა შარაგზიდან ორღობეზე დავეშვიტ. სიცილ-ხარხარით მივდიოდით. გიაც ჩვენთან იყო. უცბად ნათელამ დაიძახა:

— შეხედეთ, არ მოგწონთ ეს ვაშლები?

ყველამ ბაღში გადაიხედა. ღობესთან პატარა ვაშლის ხე იდგა; ორი ისეთი მსხვილი ვაშლი ებატოტს, რომ სიმძიმისაგან ძირს იხრებოდა.

— იცით?—დაიწყო ისევ ნათელამ.—ეს ვაშლი გიამ დაამყნო. მგონი, წელს პირველად გამოიბანა ნაყოფი. არა, გია?—მიუბრუნდა გიას.

გიამ თავი დაუქნია და თავმომწონედ გახედა ვაშლის ხეს.

— მერე, რატომ არ დაკრეფ?—წამოიძახეს ბავშვებმა.

— ნოემბრამდე არ დავკრეფ. ვნახოთ გაუძლებს თუ არა შემოდგომის სიცივეს.—უპასუხა ამხანაგებს გიამ.

ყოველდღე ვხედავდი ამ ვაშლებს, მაგრამ არასდროს ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა კი დიხანს ვუყურე. მომეწონა წითლად დამკრახული ვაშლები და ჩემი გადაწყვეტილებაც გამახსენდა. ვიფიქრე ამ ვაშლების დაკარგვა გიას ეწყინება-მეთქი და უცნაური განზრახვით განვაგრძე გზა.

სალამოს დედა კოლმეურნეობის კრებაზე წავიდა. მეც გარეთ გამოვედი. წელან რომ ორღობე ჩამოვიარეთ, ისევ იმ ორღობეს აყვავი და გიას ბაღასთან შევჩერდი. სანამ მოვიფიქრებდი, თუ როგორ მომეკრიფა ვაშლები, დაღამდა კიდეც. მიწყნარდა მიდამო. ფოთოლი რა არი, ისიც არ ირხეოდა. ფრთხილად შევადე კარი და ბაღაში შევედი, ტოტი დავწიე, მეგონა ადვილად მოვკრეფდი ვაშლებს, მაგრამ ვერ შევწვდი. ერთხელ კიდეც დავწიე და მოტყდა. მისმა ლაწანმა დაარღვია სიჩუმე. ეზოში ძალღი აყეფდა, აივანზე ტახტმა გაიჭირილა და ვიდაცამ ჩახველა. მოტეხილ ტოტს ხელი გაუშვი და კარისკენ გამოვქანდი. შეშინებულს გზა ამებნა, ღობეს წავაწყდი, ეკალს გამოედო ჩემი ახალთახალი ხალათი და მკერდიდან ბოლომდე ჩაიხა. ისე გამოვედი ბაღიდან, რომ ვერავინ ვერ დამინახა, მაგრამ ახლა შინ მისვლა მიძნელდებოდა. დედა დახუულ ხალათს რომ დანახავდა, ვიცი, გამიწყრებოდა, ამიტომ ავადმყოფობა მოვიგონე. კენესით შევედი სახლში.

— რა იყო, რა გტკივა, ან აქამდე სად იყავი? — შეშოთდა ბებია. დედაჩემმა კი, რაკი დახეულ ხალათს მოჰკრა თვალი, მშვიდად შემომხედა, მან იცის ჩემი ხასიათი: როცა რამეს დავაშავებ, ავადმყოფობას მოვიგონებ ხოლმე. სხვა დროს გამსვლია ეს ხერხი, ახლა კი ვეღარ მიშველა. დედამ შუბლი შეიჭმუნა და მითხრა:

სად დაიხიე ხალათი?

მე გულწრფელად ვუამბე ყველაფერი. მეგონა მასაც ეწყინებოდა ჩემი გაზეთში გაწერის ამბავი, გამამართლებდა და ხალათის დახევისასც მაპატიებდა. მაგრამ მოვტყუვდი. დედა უფრო მეტად გაბრაზდა და ბებიაც აღარ მომეშველა.


დედაჩემი მე მამტყუნებდა, გიას კი ამართლებდა.

ამხანაგური რჩევა-დარიგებისათვის განა სამაგიერო ასე ცუდად უნდა გადაგხეხაო? ხალათის დახევის სხვა დროს გაპატიებდი, ახლა კი არაო!

გული დამწყდა და შემეშინდა კიდევ. დედა ისე იყო გაბრაზებული, შეიძლება ჯოხი დაერთყა ჩემთვის. თვალს არ ვაშორებდი კუთხეში მიყუდებულ ბებიას ჯოხს. ბევრჯერ არა, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც მომხვედრია. კარგად ვიცოდი მისი გემო.

უცბად შიში გამეფანტა. არ ვიცი რისთვის დასჭირდა, ბებია ხელი დაავლო ჯოხს და გარეთ გაიტანა. გამეხარდა, მაგრამ რა გამოვიდა?

დედის სიტყვა ჯოხზე უფრო მწარე იყო!



რაბინდრანად თაგორი

ვაჭარი

დედა, წარმოიდგინე, რომ შენ სახლში დარჩი და მე ისევ უცხო ქვეყნების სანახავად მივემგზავრები!..

თითქო ნავსადგურში უკვე გამზადებული დგას ჩემი გემი, რომელიც პირთამდეა დატვირთული...

ვიდრე წასვლის ნებას დამრთავდე, აბა, ჯერ კარგად მოიფიქრე, რა საჩუქარი უნდა მოგიტანო შენ?..

დედა, შეიძლება შენ ბევრი, ბევრი ოქრო გინდა? იქ, ოქროს მდინარეთა ნაპირებზე, ოქროს ყანებით დაფარული მინდვრებია!..

და ტყის ჩრდილიან ბილიკებზე ოქროს ჩამპაკები ცვივან! იმ ოქროებით მე შენთვის ას კალათს ავაგებ!..

და შეიძლება შენ მარგალიტებიც გინდა, — შემოღგომის წვიმის ოდენა რომაა თითო?

მაშინ მე მარგალიტის კუნძულზე გავცურადები!..

მინდვრის ხავერდოვან ყვავილებზე მარგალიტები ციმციმებენ!..

ისინი ეცემიან ბალახებზე... და ზღვის შეფეხები სილაზე ფანტავენ მათ!..

ჩემს ძმას მე მოვეგვი ცხენებს, რათა ღრუბლებში იფრინოს!

მამას კიდევ მე მოვუტან ჯადოქრულ კალამს, რომელიც მის შეუმჩნევლად თვითონ დასწერს ყველაფერს...

და შენ კი, ჩემო დედა, მე ჩამოგიტან ძვირფასი სამკაულებითა და თვალმარგალიტით სავესე სკივრს, რომელიც შვიდ მეფედ და შვიდ სამეფოდ დაფასდება!..

თარგმნა ლავრენტი ძიძიბუშრა

6904





ლ. პანგელაძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

პატოსანი სიჭყვა

ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია გითხრათ: რა ქვია ამ ბიჭს, სად ცხოვრობს და ვინ არიან მისი დედა და მამა, სიბნელის გამო მე ისიც კი ვერ მოვახერხე, როგორც საჭიროა ისე დამეთვალყურებინა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ქორეზლიანი ცხვირი მქონდა და მოკლე შარვალი ეცვა, რომელიც მხრებზე გადაკიდებული და სადღაც მუცელზე შეკრული ქამრებით მაგრდებოდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ბაღში შევედი. არ ვიცი რას უწოდებენ ამ ბაღს — ვასილევის კუნძულზე, თეთრი საყდრის გვერდით. თან საინტერესო წიგნი მქონდა. დავეჯექი და კითხვა დავიწყე. არც კი შემიმჩნევია ისე მოსაღამოვდა. როცა თვალები ამიჭრელდა და კითხვა ვეღარ შევძელი, წიგნი დავხურე, ავდექი და ქოშრისკენ გავწიე.

ბაღი უკვე დაცარიელებულიყო, ქუჩებში სინათლეები ციმციმებდა და სადღაც ხეების იქით დარაჯი ზარს აწკარუნებდა.

შემეინდა არ დაეტეო-მეთქი და ნაბიჯს ავუჩქარე. უცებ შევჩერდი. მომესმა, რომ იქვე ახლოს, ბუჩქების უკან ვიღაცა ტიროდა.

გავბრუნდი იქით და დავინახე, რომ ბნელში პაწაწინა ქვის სახლი ქათათებდა — ჯიხური თუ საყარაულო, ყველგან რომ შეხვდებით, ყველა ქალაქის ბაღებში — ხოლო სახლის კედელთან შეიდი—რვა წლის ბიჭი იდგა, თავი ჩაეღუნა და ხმამაღლა, გულამოსკვნით ტიროდა.

მივედი და გავეხმარე:
— პა, რა მოგივიდა, ბიჭო!
მან იმ წამშივე, თითქოს უბრძანესო, ტიროლი შეწყვიტა, თავი ასწია, შემომხედა და თქვა:

— არაფერი.
— როგორ თუ არაფერი?! ვინ გაგაჯავრა?
— არავინ.
— აბა, მამ რა გატირებს!

მას ჯერ კიდევ უჭირდა ლაპარაკი, ჯერ კიდევ არ გადაეცლა ყველა კურცხალი, ჯერ კიდევ სლუკუნებდა, ისრუნტებოდა.

— წამო, წავიდეთ, — ვუთხარი მე. — უყურე: უკვე გვიანა, ბაღი იკეტება.

მინდოდა ხელი წამეფლო, მაგრამ სწრაფად მომიშორა და მიტხრა:

— არ შემიძლია.
— რა არ შეგიძლია?
— წამოსვლა არ შემიძლია.
— როგორ? რატომ? რა მოგივიდა?
— არაფერი, — თქვა ბიჭმა.

— ავად ხარ?
— არა, კარგად ვარ.
— აბა, მამ რატომ აღარ შეგიძლია წამოსვლა?
— მე გუშავი ვარ.
— როგორ თუ გუშავი? რის გუშავი?
— ნუთუ არ გესმით? ჩვენ ვთამაშობთ.
— კარგადა, ვილასთან თამაშობ?
ბიჭი გაჩუმდა, ამოიხსრა და თქვა:
— არ ვიცი.

აქ, გამოგიტყდებით, გავიფიქრე, რომ მიუხედავად უარისა, ბიჭი ავად იყო, ესე იგი თავში რაღაც აკლდა.

— ყური მიგდევ. — ვუთხარი მე. — რას ამბობ? ეს რანაირი რა არის, თამაშობ და არც კი იცი ვისთან.

— ხო, არ ვიცი. — თქვა ბიჭმა. — მე სკამზე ვიჯექი. ვილაც დიდი ბიჭები მოვიდნენ და მიტხრეს, ომობანას თამაში არ გინდაო? მინდამეთქი. ავდექით და დავიწყეთ. შენ სერჟანტი ხარო. ერთმა დიდმა ბიჭმა... ის მარშალი იყო... მომიყვანა აქ და მიტხრა: ეს ჩვენი დენტის საწყობია და შენ გუშავი იქნები. იდექი აქ სანამდე არ შეგცვლიო. კარგი-მეთქი.

მამინ მან სიტყვა ჩამომართვა: პატოსანი სიტყვა მომეცი, რომ არ წახვალო.

— მერე?
— მერე და მეც ვუთხარი: პატოსან სიტყვას ვიძლევი, არ წავალ-მეთქი.

— მერედა რა მოხდა?
— ის მოხდა, რომ ვდგავარ, ვდგავარ და ისინი კი არ მოდიან.

— აა! — გამეღიმა მე. — დიდი ხანია რაც აქ დაგაყენეს?
— ჯერ მზეც არ იყო ჩასული.

— მამ ისინი სადღა არიან?
ბიჭმა ერთხელ კიდევ მძიმედ ამოიხსრა და მომიგო:
— მე მგონია წავიდნენ.

— როგორ თუ წავიდნენ.
— დავაფიქრდი.
— მამ შენ რაღას დგახარ?

— მე პატოსანი სიტყვა მივეცი...
ის იყო უნდა გამცინებოდა, მაგრამ დავფიქრდი და მივხვდი, რომ სასაცილო არა იყო რა, ბიჭი სავსებით სწორად იტყუოდა. თუ პატოსანი სიტყვა მიეცი, იდექი კიდევ. რაც გინდა ის მოგივიდეს — სულიც რომ ამოგჭრეს, უნდა იდგე და თამაშია ეს, თუ არა თამაში — სულერთია.

— აი, ამბავი ამას ქვია! — ვუთხარი მე. — რა უნდა ჰქნას ხლო?

— არ ვიცი. — თქვა ბიჭმა და ისევ ატირდა.

ძალიან მინდოდა, როგორმე დავხმარებოდი, მაგრამ რა შემეძლო? წავსულიყავი და ის თავჯარიანი ბიჭები მეძებნა, რომლებმაც ეს კაცი ყარაულად დააყენეს, პატოსანი სიტყვა ჩამოართვეს და თვითონ შინ გაიქცნენ?... მაგრამ სად იპოვი ახლა იმ ბიჭებს! იმათ, ალბათ, ივანშემეს, დაწვენ და უკვე მეთათ სიზმარსაც ხედავენ.

ეს კი დგას გუშავად ბნელში, უთუოდ მშვიდრად!

— შენ, ალბათ, გშავი. — ვკითხე მე.
— ჰო, მშავი, — მომიგო მან.

— მამ, აი რა, — ვუთხარი ცოტა ფიქრის შემდეგ, — მოდი, შენ შინ გაიქციე და ივანშემე, პოსტზე კი შენს მაგივრად მე დავდგები.

— ასე როგორ შეიძლება!
— რატომ არ შეიძლება?



— თქვენ ხომ სამხედრო არა ხართ!
მე კეფა მოვიფხანე და ვაღიარე:
— მართალია. არაფერი არ გამოვა. მე ისიც კი არ შემიძ-

ლია — ყარაულობიდან მოგხსნა. ეს სამხედრომ უნდა გააკეთოს, და ისიც უფროსმა...

უცებ ერთი აზრი მომივიდა: იმისათვის, რომ ბიჭი პატიოსანი სიტყვიდან განათავისუფლდეს, ყარაულობიდან მოიხსნას და გულში ხინჯად არა ჩაჰყვეს რა, სამხედრო პირია საქირო. აი, ესაა საქმე! მე სამხედროს საბოგნელად უნდა წავიდე...

ეს აზრი ბიჭისთვის არ გამინდვია. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ცოტა ხანს კიდევ მოეთმინა და დაუყოვნებლივ გასასვლელისაკენ გავიქეცი.

ჭიშკარი ჯერ ისევ ღია იყო, დარსჯი სადღაც ბაღის ყველაზე უფრო შორეულ კუთხეში დადიოდა და თავის ზარს აწკარუნებდა.

მე ჭიშკართან გავჩერდი და ლოდინი დაუწყე რომელიმე სამხედროს, რომელიმე ლეიტენანტს, ან თუნდაც რიგით ჯარისკაცს. მაგრამ, თითქო ჯიბრით, ერთი სამხედროც კი არ გამოჩენილა ქუჩაში.

აი, იქით რომელიღაც შავი მაწარები დავლანდე, გამეხარდა, უთუოდ სამხედრო მეზღვაურები იქნებიან-მეთქი. ქუჩა გადავირბინე, მაგრამ მეზღვაურები კი არა, სახელოსნო სასწავლებლის ბიჭები შემრჩნენ ხელში. გაიარა ძალიან ლამაზ მაწარაინმა მაღალმა რკინიგზელმა, მაგრამ ახლა არც ეს რკინიგზელი გამომადგებოდა თავისი შესანიშნავი მაწარით.

ის იყო პირში ჩალაგამოვლებული უნდა გავბრუნებულიყავი, რომ უცებ ტრამვაის გაჩერებასთან კავალერისტის ცისფერ არშიაშემოვლებულ ქუდს მოვკარი თვალი. მგონი ჩემს სიცოცხლეში ასე არა გამხარებია რა. თავპირისპეტრევიტ გავიქეცი გაჩერებისაკენ. და აი, ჯერ ისევ წორსა ვარ, რომ ტრამვაი მოდის და ის კავალერიის ახლაგაზრდა მაიორი სხვებთან ერთად ვაგონში ასასვლელად მიიწევს.

ძალა მოვიკრიბე, მივირბინე, ვწვიდი სახელოში და დავუყვირე:
— ამხანაგო მაიორო! მოითმინეთ, ამხანაგო მაიორო! იგი მობრუნდა, გაკვირვებით შემომხედა და მითხრა:
— რაშია საქმე?

— იცით რა არის!... ვუთხარი მე. — აჰ, ბაღში, ჯიხურთან ბიჭი გუშაგად დგას... მას წახვლა არ შეუძლია, პატიოსანი სიტყვა მისცა... ის პატარაა, ძალიან პატარა... ტირის...
ოფიცერს შეეშინდა, ნამდვილად იმანაც ის გაიფიქრა, რომ მე ავად ვიყავი და თავში რაღაც მაკლდა.

— მე რაღა უშუაში ვარ? — თქვა მან.
მისი ტრამვაი დაიძრა და ახლა იგი ძალიან გაბრაზებული მესურებდა.

მაგრამ როგორც კი ცოტაოდენ დაწვრილებით ავუსხენი, საქმე რაშიც იყო, არც კი დაფიქრებულა და იმ წამსვე მითხრა:

— წავიდეთ! წავიდეთ, რა თქმა უნდა! რატომ თავიდანვე ასე არ მითხარით?

როცა ბაღთან მივედი, დარაჯი სწორედ მაშინ კეტავდა ჭიშკარს. მე ვთხოვე, რომ რამდენიმე წუთს მოეცადა — ბაღში ბიჭი დამრჩა-მეთქი — და მაიორთან ერთად ბაღის სიღრმისაკენ გავიქეცი.

ბნელში ძლივძლივობით მივაგენით თეთრ ჯიხურს. ბიჭი იქვე იდგა, სადაც მე დავტოვე, და ისევ ისე, თუმცა უფრო წყნარად ტირიდა. მე დავუძახე, ჩემი ხმა რომ გაიგო, გაუხარდა, წამოიყვირა კიდევ. მაშინ ვუთხარი:

— აჰა, ესეც უფროსი მოვიყვანე.

ოფიცერის დანახვისთანავე ბიჭი ზუმბასავით გასწორდა, მკერდი წინ წამოსწია და რამდენიმე სანტიმეტრით გამაღლდა.

— ამხანაგო ყარაულო,
— უთხრა ოფიცერმა. — რა წოდება გაქვთ?

— სერჟანტი ვარ, — მიუგო ბიჭმა.

— ამხანაგო სერჟანტო, გიბრძანებთ დასტოვოთ თქვენდამი მინდობილი პოსტი!

ბიჭი გაჩუმდა, შეისუნთქა და თქვა:

— თქვენ კი რა წოდების ხართ! ვერა ვხედავ რამდენი ვარსკვლავი გაქვთ!

— მე მაიორი ვარ.
მაშინ ბიჭმა თავის რუხ კეპთან სწრაფად მიიტანა გაშლილი ხელი და დაიძახა:

— არის, ამხანაგო მაიორო, ნაბრძანებია დავტოვო პოსტი! და ეს დაიძახა ისეთი წკრიალა ხმით, ისე კონტად, რომ თავი ვეღარ შევიკავეთ და გადავიხარხარეთ. ბიჭმაც შვებით ამოისუნთქა და გაიღიმა.

ჩვენ სამმა ბაღიდან გამოვლა ძლივს მოვასწარით, რომ ჭიშკარი დაიხურა და დაარჯმა ბოქლომში რამდენჯერმე გადაატრიალა გასაღები.

მაიორმა ბიჭს ხელი გაუწოდა.
— ყოჩაღ, ამხანაგო სერჟანტო, შენგან ნამდვილი მეტროსოლი გამოვა. ნახვამდის.

ბიჭმა რაღაც წაიღუღუნა და თქვა:
— ნახვამდის!

მაიორმა ორივეს სალამი მოვეცა, დაინახა, რომ მისი ტრამვაი ისევ მოდიოდა და გაჩერებისაკენ გაიქცა. მეც დავემშვიდობე ბიჭს და ხელი ჩამოვართვი.

— იქნებ გაცილება გინდოდეს? — ვკითხე მე.
— არა, მე ახლოს ვცხოვრობ. არ მეშინია!

დავაცქერდი პატარა, დაქორფილი ცვირზე და მივხვდი, რომ მას მართლაც არაფრისა არ შეეშინებოდა. ბიჭს, რომელსაც ასეთი ძლიერი ნებისყოფა, ასეთი მტკიცე სიტყვა აქვს, არ შეეშინებდა არც სიბნელის, არც ხულიგნებისა და არც სხვა უფრო საშინელი რამეების.

და როცა გაიზრდება... ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რა გახდება, როცა გაიზრდება, მაგრამ რაც არ უნდა გახდეს, აქედანვე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ნამდვილი ადამიანი იქნება.

ასე გავიფიქრე, ძალიან ნასიამოვნები დავრჩი ამ ბიჭის გაცნობით და ერთხელ კიდევ მაგრად, გულმხურვალედ ჩამოვართვი ხელი.



თარგმან რემპე ინანინშილიამ.



პიონერული ახალი ამბები

ტურისტული ლაშქრობა



თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტმა ივნისის ბოლოს მოაწყო ნორჩ მოგზაურთა 5-დღიანი ტურისტული ლაშქრობა „ნორჩი ტურისტის“ ნიშანზე მოსაზრებულად.

ლაშქრობაში მონაწილეობდა ოცდათერთმეტი პიონერ-მოსწავლე. ლაშქრობას უხელმძღვანელებს: სპორტის დამხმარებულმა ოსტატმა ალექსანდრა ჯაფარიძემ, კაბინეტის პედაგოგებმა — შარინე უთმელიძემ, დენეზა გოზალიშვილმა, დათა გელაძემ. ინსტრუქტორებად იყვნენ კაბინეტის ნორჩი ტურისტები IX კლასის ტურისტის ნიშნისანი მოსწავლენები — ვანო ყვავილაშვილი, ნუგზარ მისურაძე, ნიკო გამყრელიძე და სხვები.

მოლაშქრებმა ქვეითად გაიარეს 25 კილომეტრი მარშრუტით: თბილისი — წყნეთი — მთა უძო — ფუნიკულორის პლატო — თბილისი.

საბანაკოდ ადგილი შერჩეულ იქნა ბეთანიის მურნეთის მახლობლად მთა ადგილას, რომელიც გამოირჩევა თავისი სილამაზით, მყუდროებით, წყაროების სიუხვით. ამ ადგილიდან ხდებოდა რადიალური გასვლები.

მოეწყო ექსკურსია XII—XIII საუკუნის არქიტექტურული ძეგლის — ბეთანიის ტაძრის დასათვალიერებლად, სადაც თამარ მეფის ფრესკა დღემდე შემონახული. სისტემატურად ტარდებოდა საწრთვნილი ლაშქრობები და პრაქტიკული მეცადინეობები ტურიზმის საფუძვლების შესასწავლად. პიონერებმა ისწავლეს კარვების დადგმა, თოკების ხმარების წესები, ორიენტირება გარემოში; ისწავლეს, აგრეთვე, გემრიელი საჭმელების დამზადება.

მათი ყოველდღიური საბანაკო ცხოვრება ასახულია ლამაზად გაფორმებულ სავიდეო გაზეთებში. მიღებულ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობენ ჩანაწერები, პატარა-პატარა ჩანახატები.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ბავშვებმა წარმატებით ჩააბარეს ნორმები „ნორჩი ტურისტის“ ნიშანზე.

წიგნებს სიცოცხლე დაუბრუნეს



კარადის თაროზე სხვადასხვა სისქის წიგნები აწვდია, მაგრამ წიგნებს ერთნაირი ყდები აქვს. როდესაც ბიბლიოთეკარი მათ ბავშვებისათვის მისაცემად ხელში აიღებს, აუცილებლად ჩაილაპარაკებს ხოლმე:

— აბა, თქვენ იცით, კარკად გაუფრთხილდით, არ დაზიანდით. გახსოვდეთ, ამ წიგნებს სიცოცხლე თქვენმა ტოლებმა დაუბრუნეს.

ნორჩ მკითხველებს არ უყვიროთ ასეთი გამოთქმა. მათ კარგად იციან, რომ წიგნის მოყვარულთა წრის წევრებმა არაერთი და ორი ათეული დაზიანებული წიგნი შეაკეთეს და თავიანთ ამხანაგებს საშუალება მისცეს ესარგებლოთ საინტერესო მხატვრული ლიტერატურით.

ორი წელია, რაც ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარის საშუალო სკოლის ნორჩი ლენინელები შეფობას უწევენ სასკოლო ბიბლიოთეკას. ხელმარჯვე პიონერები ამარაგებენ ამოცვენით ფურცლებს, უცვლიან ყდებს. მათ მრავალ წიგნს დაუბრუნეს სიცოცხლე.

ფერმის შეშვები

მზე ახალი ამოწვერილი იყო, როცა მეცხოველეობის ფერმის კარები ჭრილით გაიღო.

— რომელი ხარ მანდ, აბა აქეთ გამოიხედე! — შესძახა ადრიან სტუმარს მოხუცმა დარაჯმა.

— მე ვარ, ბიძია, ომარი! — ღიმილით გამოეპასუხა თამაშვერცხლილ მოხუცს 13—14 წლის მკვირცხლი ბიჭუნა.

— რა იყო, კვლავ არ იფანა? უთენია რა მოგარბენინებდა! კარგად არიან შენი გოჭები, დედალორიც კარგადაა. ომარმა გაუღიმა მოხუცს და ჩვეული სიმარჯვით საკვების მოსამზადებელი მანქანისაკენ გაემართა.


კარგა ხანია, რაც მეექვსეკლასელი პიონერი ომარ ლომიძე ყოველ დღე დილაადრიან შოდის ფერმაში, საკვებს აძლევს ღორსა და გოჭებს, უსუფთავებს მათ ბინას. გაკვეთილების მომზადების შემდეგაც ნახავთ ომარს ფერმაში. და განა მარტო ომარს! მისი მრავალი ამხანაგი შეფობას უწევს მეცხოველეობის ფერმას. ქუთაისის რაიონის სოფელ საყულის საშუალო სკოლის პიონერები გულდასმით უვლიან ხბოებს, გოჭებს. ნორჩმა შეფებმა უფროსების მაღლობა დაიმსახურეს.



ნორჩი მებალეები

ნუგზარის ვაშლები — ასე უწოდებენ ხეხილის ტანყარილ ნორჩ ნარგავებს თერჯოლის რაიონის სოფელ ახალი თერჯოლის რვაწლიანი სკოლის ნორჩი ნატურალისტები. სიამაყით გაჩვენებენ ისინი კარგად მოვლილ, მსხმოიარე ხეებს. გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ნორჩ ნარგავებზე დიდი შრომაა გაწეული. მართლაც, საცდელ ნაკვეთზე ბევრი უშრომია პიონერ ნუგზარ ჭუმბურიძეს. მან კარგად ისწავლა მყნობა და შესანიშნავი ნაყენი ბალი გააშენა.

გივი ყიფიანმა პამიდორზე დაამყნო ბადრიჯანი და მიიღო ნაყოფი, რომელსაც ფერი და ფორმა პამიდორისა აქვს, გემო და სხვა თვისებები კი ბადრიჯანის. ოთარ ბუცხრიკიძე შესანიშნავად ამყნის ვაზის მწარე ლერწმ ტკბილი ჯიშის ვაზს. მან რამდენიმე ათასი ძირი დაამყნო — 100 ცალით თავისი პიონერული რაზმი დაასაჩუქრა, დანარჩენები კი კოლმეურნეობას გადასცა. საინტერესო, მრავალფეროვან საქმიანობას ეწევიან ბუნების მომავალი გარდამქმნელები.



ორკან ქაბალი

ნახ. რ. ცუცქერიძისა

ბავშვები და მოზრდილები

ყვითლად შეღებილი სახლის ჭიშკართან უსინათლო ქალი იდგა და მოწყალებას თხოულობდა. მისი ექვსი წლის ბიჭუნა, რომელსაც მუნთან თავზე გაქონილი, ჭუჭყიანი ტუბიტეიკა ეხურა, ტროტუარზე პაპიროსის ჭუჭყიან კოლოფებს ათამაშებდა. მან ასფალტზე დიდი წრე შემოხაზა, წრის შუაგულში ერთიმეორეზე დააწყო გახუნებული მუყაოს კოლოფები, ათიოდე ნაბიჯზე უკან დაიხია და კრამიტის ნატეხით წრიდან გაყრა დაუწყო კოლოფებს. იგი აზარტით თამაშობდა, თავისთვის ილანძღებოდა და იცინოდა.

როცა ერთი სროლით წრიდან ყველა კოლოფის გაყრა მოახერხა, სახე სიხარულით გაუბრწყინდა.

მახლობელი ეზოს ჭიშკარი გაიღო და ქუჩაში სუფთად ჩაცმული, კოსტად თმებდავარცხნილი ბიჭუნა გამოვიდა; ისიც ექვსიოდე წლისა იქნებოდა. პრიალა წაღები ეცვა, ხელი სამთვლიანი ველოსიპედის საჭისათვის ჩაეველო და მოაგორებდა. ველოსიპედი მოასფალტებულ ტროტუარზე აიტანა, ზედ დაჯდა და ღარიბ ბიჭს განცვიფრებით დაუწყო ყურება. ღარიბი ბიჭუნაც, რომელსაც კრამიტის ნატეხი ისევ ხელში ეჭირა, ყოველგვარი შურის გარეშე მას შეჭყურებდა. ის გაოცებული იყო, გაოცებული იმით, რომ ბიჭი მანქანაზე იჯდა, როგორც ნამდვილი მძღოლი. მაგრამ მდიდარ ბიჭუნას მობეზრებული ჰქონდა ველოსიპედიც, პრიალა წაღებიც, მდიდრული სახლიც და მუდმივი რჩევა-ღარიგებაც: «არ დაისვარო ტანსაცმელი! ნუ ამბობ ცუდ სიტყვებს! ნუ დადინარ ტალახში!»

ღარიბ ბიჭს კრამიტის სროლის ხელოვნების გარდა, თავის საქმბარი არაფერი ჰქონდა. მან ახალი წრე შემოხაზა, წრის შუაგულში მუყაოს კოლოფები დააწყო, თხუთმეტ ნაბიჯზე მოსცილდა წრეს, კრამიტის ნატეხი დაუმიზნა და ესროლა.

— ერთი!

კრამიტმა მუყაოს კოლოფებს შორიახლოს ჩაუქროლა.

— აჰ!— აღმოხნდა მდიდარ ბავშვს.

ღარიბმა გაიღიმა, აიღო კრამიტი და ერთხელ კიდევ სცადა. მაგრამ კრამიტმა მხოლოდ ოდნავ გაკენწლა კოლოფები და მდიდარ ბავშვს კვლავ «აჰ» აღმოხნდა.

— ფუჰ!— რა უნდა თქვა! ყოველთვის ვახვედრებდი და...

მდიდარი ბიჭი ველოსიპედიდან ჩამოვიდა, ღარიბს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— განა შენ ერთი სროლით ჰყრი წრიდან ყველა კოლოფს?
— რასაკვირველია, ერთი სროლით. ეს კოლოფები ყველა მოვიგე! აი ეს— «კლუბი»—თითო შაურად ფასობს, ეს— «იენი-ჯე»—ათად, ხოლო «ოქროს რქა»—ოც ყურუშად.

— მომეცი, გნახო!

მდიდარმა ბიჭმა ჭუჭყიანი კოლოფები აიღო, ყურადღებით დაათვალიერა და, როცა უკანვე უბრუნებდა, ჰკითხა:

— ვისთან მოვიგე?

— ვისთან და მუსასთან. მუსას არ იცნობ? ჩვენს კვარტალში ცხოვრობს, მეეტლის შვილია. ბევრი წიწილა ჰყავთ... მათმა ძაღლმა ლეკვები დაყარა... თეთრი, შავი, სხვადასხვა ფერის ლეკვები. მე და მუსამ ქაღალდის ფრანი გააკეთეთ და ცაში ავუშვით... შენ ავიშვია როდისმე?

— არა. დეღამ არ მიყიდა... შენ გაქვს?

— მაქვს, ორი ფრანი მაქვს. ერთი მუსამ მომცა, მეორე კი დეღამ მიყიდა. დედა შურდულსაც მიყიდის!

— ეს დედაშენია?

— დიახ...!

— მამა გყავს?

— არა.

— რატომ?

— რა ვიცი.

— დედა მუშაობს?

— ჰო.

— მამ ვინ ყიდულობს ხორცს ბაზარზე? ვინ გიმზადებთ სადილს სამზარეულოში?

— ეჰ! ამბობ რა!.. რომელი სამზარეულო? განა ჩვენს სახლში სადილი მზადდება?

— ამ კოლოფებს არ მათხოვებ, ცოტა ხანს ვითამაშო?

— გათხოვებ. შენ კი აი, დამსვამ იმაზე?

— რაზე, ველოსიპედზე?

— ჰო... აი, მაგაზე...

— დაჯექი...

ღარიბმა ბიჭმა იმ წამსვე მისცა კრამიტი და კოლოფები.

მდიდარმა ჰკითხა:

— ხვალ მოხვალ? მე ბაბუსას კოლოფებს ვთხოვ, ვითამაშოთ, კარგი?

— მოვალ, თუ დედა აქეთ ჩამოივლის სამათხოვროდ...

სანამ მდიდარი ბიჭი ასფალტზე წრეს ხაზავდა, ღარიბი ველოსიპედთან მივიდა. იგი მოუთმენლობისაგან ღელავდა. მბრწყინავი საჭე, თვლები... მას არ შექლო იმ დიდი ბედნიერების დაჯერება, რომელიც წილად ხვდა. კარგად მიმოავლო თვალი გარემოს, მერე გაიწოდა ხელები საჭისაკენ, მაგრამ შეხება ვერ გაბედა. ისევ ირგვლივ მიმოიხედა, შეხება ფანჯარას, შემდეგ მაგრად ჩასჭიდა ხელი საჭეს, გაიღიმა და სიხარულით გახედა დედას. ყველაფერი ძველებურად იყო, ყველა თავის საქმით იყო დაკავებული. მან ფეხი პედალს დაადგა, ველოსიპედზე შეჯდა და აკანკალებული ხმით დედას გასძახა:

— დედა, დედა! შეხედე, ერთი!

დედამ, გაიგონა თუ არა შვილის ხმა, მისკენ მიბრუნდა. იმავე წუთს მეორე სართულის ფანჯრიდან ყვირილი გაისმა:

— ხელი გაუშვი, ახლაც გაუშვი ხელი! აინურ, თვალი დაგიდგა, სადა ხარ?! გაიქეცი ჩქარა! ბავშვს ხელში რაღაც საძაგლობა უჭირავს.

ეზოს ჭიშკარი გაიღო და ქუჩაში თმებშეკრეჭილი გადია გამოვარდა—გოგონა, ასე, ცამეტი წლის იქნებოდა. მან ღარიბი ბიჭუნა ველოსიპედიდან გადმოთავდო. იგი ძირს დაეცა შემდეგ გადიამ მიირბინა მდიდარ ბიჭთან, სულ არ დაუნახავს მისი დაბნეული სახე, ხელიდან ისე გამოსტაცა პაპირისის კოლოფები და კრამიტის ნატეხი. კოლოფები ასფალტზე გაგორდა, ხოლო კრამიტი მთლად დაიფშვნა. ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. გადია და ბიჭი, ველოსიპედიანად, ეზოში შევიდნენ და კარიც ჩაიკეტა.

ხოლო ღარიბი ბიჭუნა იწვა ასფალტზე და მწარედ, მწარედ ტირიდა. შემდეგ ადგა. გამხდარ და ჭუჭყიან ფეხებზე ფოჩებოვით ჩამოპოკონწიალებდა დაძონძილი შარვალი. იგი მიმოხედა მუყაოს კოლოფებთან მივიდა, დაინახა დამსხვრეული კრამიტი, შეუკურთხა გადიას და დედასთან მივიდა.

— ხელი მკრა, დედი!

დედამ მხრები აიჩეხა.

— ჩუმათ, ჩუმათ! ხელ-ფეხი მთელი გაქვს! თუ გაიგონეს, რომ ტირიხარ, ორივეს გაგვადებენ აქედან. გაჩუმდი!

ბავშვმა ჭუჭყიანი ხელის ზურგით ცხერი მოიწმინდა, სხვა კრამიტი იხოვნა, ასფალტზე ახალი წრე შემოხაზა, მოაგროვა გაფანტული კოლოფები, წრის ცენტრში დააწყო, თხუთმეტი ნაბიჯით მოშორდა და დაუმინა.

თურქულიდან თარგმნა ლეილა მრამქმ



მახილაროვიანი ზეიქარი

(ინდური ხალხური ზღაპარი)

სამხრეთ ინდოეთში, ქალაქ მახლაროვაში ცხოვრობდა ფეიქარი საგარადატა. საგარადატა ლამაზ ხალიჩებს ქსოვდა, მაგრამ ერთობ ნელა მუშაობდა: წელიწადში მხოლოდ ერთ ხალიჩას მოქსოვდა ხოლმე, ამიტომ ფულსაც ცოტას შთულობდა.

ერთხელ, ყველაზე ლამაზი ხალიჩის ქსოვას რომ ამთავრებდა, დაზგა გაუტყდა. საგარადატა ღარიბი კაცი იყო, ის არ მოყოლია ბედის საყვედურსა და წუწილს, აიღო ცული და ისეთი ხის მოსაძებნად გაეშურა, რომლისაგანაც უფრო მაგარ დაზგას გამოთლიდა.

ბევრი ხე გასინჯა საგარადატამ, ბევრი ეძებდა, ბოლოს ზედ ოჯენის ნაპირზე ბუხის მაღალი ხე დაინახა.

— აი, ხე, რომელსაც მე ვეძებ! — გაუხარდა ფეიქარს. — ამ ხისაგან ჩემი დაზგის ყველა ნაწილს გავაქეთებ.

მაგრამ საგარადატამ მხოლოდ ცულის შემართვა მოასწრო, რომ შეესმა:

— შეიბრაღე ეს ხე, მეგობარო!

— ვინ მელაპარაკებ?! — გაოცდა ფეიქარი.

— ფანა ვერა მცნობ? ეს შე ვარ — ტყის ჯადოქარი. ბუხის ხე ჩემი სახლია. რატომ მიწვრევ სახლს?

საგარადატას აქამდის არასოდეს არ ენახა ტყის ჯადოქარი და შეეშინდა კიდევ, მაგრამ მერე გაიფიქრა:

ძნელად თულა ვიბოვი კარგ ხეს. ახალი დაზგის გასაქეთებელი მასლა რომ არ წავიღო, ისე აქედან ჩემი წასვლა არ შეიძლებაო, და ტყის ჯადოქარს ასე უთხრა:

— რა ვქნა, თუ კარგი ხე ვერ ვიპოვე, დაზვას ვერ გავაკეთებ, ხალიჩას ვეღარ მოვქსოვ და ვერ გავყიდი, მაშინ ხომ ცოლ-შვილი შიმშილით დამეხოცება. მოდი, შენ წადი, სხვა სახლი მოძებნე, მე კი ამ ხეს მოვჭრი.

— არა, არა! ამ ხეს ხელს ნუ ახლებ! მე აქ კარგადა ვცხოვრობ! ოკეანიდან გამუდმებით უბერავს აქეთ წინაი და რა გონდ ცხელი დღე იდგეს, აქ მაინც გროლა. მოდი სხვა რამ მთხოვე და ეხლავე აგისრულებ. — შესთავაზა ფეიქარს ტყის ჯადოქარმა.

საგარადატა დაფიქრდა და დაეთანხმა, მაგრამ ჯადოქარს ასე უთხრა: ჯერ ცოლს უნდა ვკითხო რჩევით.

შინისკენ მიმავალ საგარადატას თავისი მეგობარი დალაქი შეემოხვდა.

— საით მიიქვარი, მეგობარო? — ჰკითხა დალაქმა.

— ოჰ, ნუ გამაჩერებ, ვეთაყვა. მე ტყის ჯადოქარი დავიმორჩილე, ახლა შინისკენ მივეშურები, მინდა ცოლმა მირჩიოს, რა ვთხოვო ჯადოქარს.

— ოჰო, თუ ასეა, მაშ სამეფო თხოვე. შენ ხელმწიფე გახდები, მე კი შენი მრჩეველი ვიქნები და ჩვენ ერთად დავტყვებით ამქვეყნიურთა ყოველგვარი სიხარულით.

— ოქნებ ასეც სჯობდეს, — მუგო ფეიქარმა, — მაგრამ მე მაინც ჯერ ცოლს დავეკითხები.

— ჰმ, რას ამბობ, ძმაო! ქალისთვის რჩევა ვის უკითხავს?

— შეიძლება შენ მართალი იყო, მაგრამ ის ერთგული მეუღლეა ჩემი. მე მაინც წავალ მასთან და დავეკითხები.

უთხრა ეს საგარადატამ და შინისკენ გაეშურა. ნახა თავისი ცოლი და ყველაფერი უამბო.

— რა ვთხოვო, ძვირფასო, ტყის ჯადოქარს? ჩემი მეგობარი დალაქი მიჩივებს: სამეფო თხოვეო.

— რა სულელია ეგ დალაქი! ნუ აპყვები მის რჩევას! განა არ იცი, რომ მეფის ცხოვრება მეგობრობაზე, მტრობაზე, თავდასხმებზე, ალყებზე, პირფერობაზე და დალატზე ზრუნვით არის აღსავსე? არ არის სიხარული ასეთ ცხოვრებაში.

— ეს შენ კარგად თქვი, ჩემო ცოლო. მაშ, აბა, რა ვთხოვო ტყის ჯადოქარს?

— რა გიყვარს ყველაზე მეტად, ჩემზე მეტადაც კი? ხალიჩებზე ნაყშების ამოყვანა, ხომ ასეა?

— ასეა, შენ მართალი ხარ.

— ყველა აქებს შენს ნამუშევარს და სიხარულით ყიდულობენ შენგან ხალიჩებს. მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთ ხალიჩას ქსოვ და ამის გამოა, რომ ჩვენ ღარიბები ვართ. ჰოდა, თხოვე ტყის ჯადოქარს, მოგცეს ისეთი დაზვა, რომელიც იმდენ ხალიჩას მოქსოვს, რამდენსაც შენ მოისურვებ, და ყველაზე ლამაზ ნაყშებსაც ამოიყვანს.

საგარადატა დაეთანხმა ცოლს და ტყის ჯადოქართან წა-

ვიდა. მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უმეტეს ძიძღებოდა გული.

„დავუშვათ, მომიცა ტყის ჯადოქარმა ასეთი შესანიშნავი დაზვა, — ფიქრობდა საგარადატა, — დაზვა კიდევ მოქსოვს, ლამაზ ნაყშებსაც ამოიყვანს, მე რაღა დამრჩება გასაკეთებელი? მხოლოდ ხალიჩების გაყიდვა და ფულების დაგროვება? მაშინ ხომ აღარავინ იტყვის ჩემზე, საუკეთესო ოსტატიაო“.

ისე გაამწარა ამ ფიქრებმა საგარადატა, რომ ტყის ჯადოქართან მივიდა თუ არა, ასე უთხრა:

— არაფერი არ მინდა შენი! თუ ამ ხეს მოჭრის ნებას არ მომცემ, მომეხმარე ჩემი დაზვის შეკეთებაში და სრულიად კმაყოფილი ვიქნები.

— იუოს ნება შენი! — მიუგო ტყის ჯადოქარმა, — წადი შინ. მე შევასრულებ შენს თხოვნას.

როგორც კი შევიდა სახლში საგარადატა, მაშინვე თავის დაზვას მივარდა. ყველა ნაწილი ადგილზე იყო. დაიწყო ქსოვა — დაზვა ამუშავდა.

საგარადატას ყველაფერი გადაავიწყდა, არ ითენა და არ იღამა, სანამ ხალიჩის ქსოვა არ დაამთავრა. არ ესმოდა მას, როგორ მივიღოდა ხოლმე მასთან ცოლი, არც ის დაუნახავს, რამდენჯერ შემოვიდა მის სახლში დალაქი.

დაამთავრა ქსოვა, მღუშარედ დაჩერდა თავის ახალ ხალიჩას, დიდხანს დასცქეროდა, შემდეგ უცებ გაიცინა და შესძახა:


„ოჰ, ვის შეუძლია იმის გაგება, თუ რა ბედნიერი ვარ ახლა მე? ხომ შემეძლო მეფედ გახდომა, აურაცხელი სიმდიდრე მექნებოდა მაშინ, ბევრი მორჩილი მონა და ბევრი მლიქვნელი მეყოლებოდა, მაგრამ არც ერთი წრფელი მეგობარი. ტყის ჯადოქარს შეეძლო გავემდიდრებინე, მაგრამ მე მაშინ ვეღარ ვბოვებდი სიმშვიდეს იმის შიშით, რომ ეს სიმდიდრე არ დამეკარგა. ვისი ბედნიერება შეედრება ჩემსას, როცა მე ვხედავ ჩემი ხალიჩების მშვენიერ ნაყშებს და მესმის, როგორ აქებს ყველა ჩემს ნამუშევარს?“

მრავალ წელს იცოცხლა ფეიქარმა საგარადატამ. სიმდიდრე მაინც ვერ მოიპოვა, მაგრამ ბედნიერი იყო. ხალიჩები, რომელთაც ის ქსოვდა, იმ ოქროს მანეთიანებზე უფრო ძვირფასი იყო მისთვის, თავის ნაშრომში რომ ღებულობდა. საგარადატა ტყებოდა თავის ხალიჩებზე ამოყვანილი ლამაზი ნაყშებით, არ იცოდა რა იყო დაღლა და არ ახსოვდა სიღარიბე.

საგარადატას ხელოვნების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. ქება-დიდებათი იხსენიებდნენ მის სახელს და სიკვდილის შემდეგაც დიდხანს დარჩა ხალხში მახილარობიელი ფეიქარის სახელი.

თარგმნა ნინო სამუქაშვილმა
ნ.ხ. ნ. შალიკაშვილისა





ბ. გორგაძე

ინდუსტრიული
პიონაჟი
(ხეთი)

ფოტო

შ. ჩხეტიანისა

მეტალურგიის ახალი კერა საქართველოში

ავტობუსი მივაქროლებთ მოსაფალტებელი შარავით... ჩაუვლით სოღანლულს, გადასერავთ სარგანის დიდ მინდორს და, იაღლუჯის მთის კალთებთან მისვლამდე, თქვენს თვალწინ პორიზონტზე მდორედ იზრდებიან დიდრთნი გეომეტრიული ფიგურების მკვეთრად და მიმზიდველად მოზაზული სილუეტები, ჟახლოვდებით მთის კალთებს... სილუეტები მყის ჰქრებიან და აღმოსავლეთით გადაიშლება ახალი ქალაქისა და ახალი ქარხნის სრული პანორამა.

ეს რუსთავია უზარმაზარი მეტალურგიული ქარხანა — გიგანტი. ათიოდე წლისა იგი, მაგრამ რაოდენ გაზრდილა და დაეკაცებულა!

ოდესღაც აქ უძველესი ქართული ქალაქი ყოფილა. მეორამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფ-ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი თავის შესანიშნავ წიგნში, რომელსაც „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეწოდება, წერდა: — „ქვლად იაღლუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელსაც ეწოდება რუსთავი“...

წინაპართ აქ შეუქმნიათ ქალაქი, ბაღ-ბოსტნები, კულტურა, და ქალაქური ცხოვრებით უცხოვრიათ თაობებს. ახალგაზრდა არქეოლოგებმა რუსთავის მდინარეებში ნაპოვნ სამარხ ქვაყუთებში აღმოაჩინეს მრავალმხრივ საგულისხმო ნივთები — უძველესი ბრინჯაოსა და რკინის საგნები, აგრეთვე თიხის ტურქული. ზოგიერთი მათგანი ასაკობრივად ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება, ზოგი დიდად ენათესავება მცხეთის ქვაყუთებში ნაპოვნ საგნებს.

რუსთავი უხვად ყოფილა დასახლებული. აქ უცხოვრიათ დახელოვნებულ ზღვრითმოდერებს, ჩუქურთმისმკურელებს, რკინისა და ფოლადის დნობის ოსტატებს.

წარსულშივე დიდმნიშვნელოვანი ყოფილა ეს ქალაქი. მეექვსე საუკუნეში ქართლის ხუთ მნიშვნელოვან ქალაქთა შორის რუსთავიც ითვლებოდა. რუსთავი გარეკახეთის სასარდლოს ცენტრი ყოფილა და მეფეთა საზამთრო სადგურიც, აგრეთვე. ხმლის შემმართველი ხალხით იგი ერთდულ

დარაჯად ედგა დედაქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთის კარიბჭესთან.

ასეთი წარმტაცი გმირული წარსულისა რუსთავი. მაგრამ მტერს დაუბრებია და მტერად უქცევია იგი. შეწყვეტილა მშვენიერი ბოსტან-ქალაქის არსებობა.

ეს ოდესღაც აყვავებული და მჩქეფარე სიცოცხლით აღსავსე მდინარე საუკუნეების მანძილზე უკაცურ ტრიალ ველად იყო დაგდებული. წარსულიდან მას შემორჩა მხოლოდ სახელწოდება — „რუსთავი“.

1944 წელს, როცა სამკედრო-სასიცოცხლო ომი ფაშისტებთან დამთავრებული არ იყო, გენიალური მხედართმთავრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მითითებით რუსთავში დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და რუსთავის ხელახლა აღორძინება.

მას შემდეგ მხოლოდ ათმა წელმა განვლო. პარტიისა და მთავრობის დიდი დახმარებით, მოძმე საბჭოთა ხალხების აქტიური მონაწილეობით ქარხნის მშენებლობა ამაჟამდ უკვე დამთავრებულია, ამზადებს ნაირგვარ პროდუქციას — ქართულ თუჯს, ფოლადს, ფოლადის მილებს და აგზანის არა მარტო ჩვენი დიადი სამშობლოს ქარხნებში და ქალაქებში, არამედ მოძმე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც.

ცოტა რამ წინაპართა წარსულიდან

ქართული მეტალურგიის ისტორია რუსთავის ქარხნით არ იწყება. მის საწყისებს საღდაც შორეულ წარსულში გადაყვართ.

ადამიანი უძველეს დროიდან იცნობს ლითონს, მაგრამ სახელდობრ როდის და რა პირობებში მოხდა ეს გაცნობა, ზუსტად არ ვიცით. შესაძლოა იგი სულ პირველად გაეცნო იმ ლითონს, რომელიც ცის სივრციდან ვარდებოდა დედამიწაზე და რომელსაც მეტეორიტის ლითონი ეწოდება. იქნებ



ამითაც უნდა აიხსნას ის, რომ ადამიანის წარმოდგენაში ერთობ დიდხანს შემორჩა შეხედულება ლითონის ზეციური წარმოშობის შესახებ და მას რაღაც ზეადამიანურ ძალასა და თვისებებს მიაწერდა. ზოგიერთი ცნობით ადამიანს მეტეორიტის ლითონიც გამოუყენებია იარაღის დასამზადებლად. ან, შესაძლოა, ადამიანი გაეცნო იმ ლითონს, რომელიც წარმოიშვა ტყის ხანძრის შედეგად, ან იმ ზღვას ლითონს, რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ბუნებაში. ყველა ეს მოსაზრებანი ვარაუდზეა დაამყარებული, ხოლო უსუსტად არაფერია დადგენილი. ერთი რამ ნათელია — მას შემდეგ, რაც ადამიანი შემთხვევით შეხვედრილ ლითონს გაეცნო, ხოლო შემდეგ დაიწყო მადნებიდან ლითონის გამოღობა, ხანგრძლივმა ისტორიულმა პერიოდმა გახვლო. ფიქრობენ, რომ ლითონის გამოღობის დასაწყისი კერამიკულ წარმოებასთან არის დაკავშირებული. პირველყოფილი ადამიანი აწარმოებდა რა ცეცხლში კერამიკული ნახელავის გამოწვას, იძულებული იყო ცეცხლის კერამიკულ შემოყვით ქვები და მიწის ბელტები, როგორც ქარსაცავი. ეს ქვები და ბელტები ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებით იშლებოდა და ცომისებურ მასად იქცეოდა. როგორც კი ცეცხლი მიწელდებოდა, ეს მასა მყარდებოდა და იქცეოდა ქვაზე უფრო მკაფიო ნივთიერებად. ვინ იცის რა იყო ეს ახალწარმოებული ნივთიერება — პირველყოფილი თუჯი, რკინა, თუ სპილენძი. ადამიანი ხანგრძლივად უკვირდება ამ მისთვის ჯერ უცნობ მოვლენას და შემდეგ შეგნებულად იწყებს მადნიდან ლითონის გამოღობას. დროთა განმავლობაში ადამიანმა ისწავლა სპილენძის გამოღობა, შემდეგ ბრინჯაოსი, რომელმაც შეცვალა ქვა და ქვისგან დამზადებული საბარძოლო და სამეურნეო იარაღი. ეს პერიოდი ბრინჯაოს ხანად არის ცნობილი ისტორიაში. ადამიანი უფრო შორს წავიდა და ასევე შემთხვევით გამოაღწია რკინა, რომელმაც შეცვალა ბრინჯაო, და დაიწყო რკინის ხანა. მაგრამ რკინას მაშინვე როდი გამოუძევებია ხმარებიდან ბრინჯაო და მისგან დამზადებული იარაღები. ისევე, როგორც ბრინჯაომ უცბად ვერ გააძევა ხმარებიდან ქვა, ქვის იარაღი. ეს აიხსნება იმით, რომ რკინას დასაწყისში არ ახასიათებდა ის სიმკვრივე, რაც ბრინჯაოს ჰქონდა. მაგრამ საერთოდ რკინის გამოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა განვითარების ისტორიაში. აი რას წერდა ამის შესახებ ფრიდრიხ ენგელსი: „ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა, უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში, უკანასკნელი — კარტოფლის გამოყენებამდე. რკინის წყალობით შესაძლებელი გახდა მემინდვრეობა ვრცელ ფართობებზე, ტყით დაფარული ვრცელი ადგილების გაკაფვა და დამუშავება; რკინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მჭრელი იარაღი მისცა, რომელსაც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროს ცნობილი ლითონი. ყოველივე ეს ერთბაშად როდი მომხდარა; პირველი რკინა ხშირად ბრინჯაოზე უფრო რბილი იყო. ამიტომ ქვის იარაღი მხოლოდ ნელნელა ქრებოდა“.

როდის და სად დაიწყო სულ პირველად რკინის გამოღობა, უცნობია, მაგრამ არქეოლოგების მიერ ნაპოვნი რკინის საგნების შესწავლით გამოირკვა, რომ რკინა ჯერ კიდევ 5000-6000 წლის წინათ ყოფილა ხმარებაში. 1887 წელს ძველი ეგვიპტელთა ფარაონებისა და მათი ოჯახის ახლო წევრთა სასაფლაოდ გამოყენებულ ყველაზე უდიდეს ეგვიპტურ პირამიდა ხეობსში იპოვნეს რკინის ნაჭერი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ 4900 წლის ასაკით განსაზღვრეს. ასეთივე ხანდაზმული ნიმუშები სხვა ქვეყნებშიც აღმოჩნდა.


ქართველებსაც ძველთაგანვე შეუსწავლიათ ლითონების გამოღობა. უძველესი ქართველი ხალხები, თუბალები, მუსკები და მოსინიკები დახელოვნებული მეტალურგები ყოფილან. მათი ლითონური ნახელოვანი კარგად ყოფილა ცნობილი შორეულ ქვეყნებშიც და ისინი შიდალ შეფასებას ღებულობდნენ. ამიტომ უძველეს ქართველ მეტალურგებს სხვა ხალხებთან ერთად გარკვეული დეაწლი მიუძღვით მეტალურგიის განვითარებაში.

ქართველი ხალხი მეტწარმატებას მიიღწევდა ამ დარგში, რომ მისთვის ხელი არ შეეშალათ მტრებს, მათ მიერ ქვეყნის არაერთგზის აოხრებას, რამაც არა თუ შეაფერხა, არამედ თითქმის სრულიად მოსპო ეს უძველესი დარგი სწორედ ისე, როგორც განვითარებული მევენახეობა მესხეთში, რადგან ეს დარგები წარმოადგენდნენ ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების წყაროს. შართალა, აქა-იქ კიდევ გრძელდებოდა ლითონის გამოღობა, მაგრამ მცირე რაოდენობით და ისიც მალულად, რომ მტერს არ გაეგო. მრავალჯერ შეეცადნენ მეტალურგიის აღდგენას, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ მე-18 საუკუნეში, ერაყელ მეორის დროს, აღდგენილი იქნა სპილენძისა და ვერცხლის გამოღობა ალავერდში და ახტალაში, რკინისა — ჩათახში. ძველად რკინას აღნობდნენ აგრეთვე ზემო სვანეთსა და რაჭაში.

მხოლოდ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გახდა შესაძლებელი მრეწველობის როგორც სხვა დარგების, ისე მეტალურგიის აღდგენა და განვითარება. ალავერდსა და ახტალაში ფართოდ განვითარდა ფერადი ლითონების გამოღობა. 1862 წლის 28 დეკემბერს ჩათახის ქარხანაში გამოიღნა პირველი ქართული სამრეწველო თუჯი.

ჩათახის ქარხანამ რამდენიმე წელს იარსება, ხოლო 1923 წელს აღდგენილი იქნა სერგო ორჯონიკიძის თაოსნობით და საბჭოთა რუსეთის დიდი დახმარებით. ოთხი წლის განმავლობაში იგი თუჯითა და რკინით ამარაგებდა არა მარტო ამიერკავკასიას, არამედ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქარხნებსაც. ამის შემდეგ პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობით საქართველოში სხვა მრავალ ქარხნებთან ერთად 1931 წელს აშენდა ფეროშენადნობების ქარხანა ზესტაფონში და 1934 წელს თუჯისა და ფოლადის სამსხმელო ქარხანა („ცენტროლიტი“) ატყალაში.

ასეთი წინამორბედები ჰყავს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.





მიწის წიაღი ქარხნის სამსახურში

მეტალურგიულ ქარხანას ესაჭიროება დიდი რაოდენობისა და კარგი ხარისხის ნედლეული — მადანი, საწვავი, შემწი-დავი მასალა (კირქვა ან კირი), ხოლო უმთავრესად — მადანი და საწვავი.

საქართველოს წიაღი უხვად შეიცავს ნაირგვარ მადნეულს. ამჟამად ცნობილია რკინის შემცველი მადნების რამდენიმე ასეული საბადო, რომელთაგან ერთეულები იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას: შავი ზღვის პირის მაგნიტური სილბები, რომლებიც ახლა მხოლოდ ნავთის მრეწველობაში გამოიყენება სულ სხვა დანიშნულებისათვის, მაგრამ გამოიკვლია არ არის, რომ იგი გამოიყენებულ იქნება მეტალურგიაშიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩათანის რკინის მადნები თავისი მაღალი ხარისხით. ამჟამად მარაგი დაზუსტებული არ არის, მაგრამ ამ უბნის დაწვრილებითაა შესწავლამ მოსალოდნელია სასიხარულო შედეგი მოგვეცეს. კარგი ხარისხის რკინის მადანი მოიპოვება ზემო რაჭაშიც, სადაც რაჭველი მეტალურგები ძველთაგანვე აღნობდნენ ხარისხიან რკინა-ფოლადს.

რუსთავის ქარხანა მუშაობს მოძვე აზერბაიჯანიდან მიღებული რკინის მადნით. ეს მადანი უხვად მოიპოვება დამკრ-სანში და მალაზხარისხოვანია. საწვავად იყენებს ტყიბუ-ლისა და ტყვარჩელის ქვანახშირების კოქსს, რომელსაც რუსთავში ამზადებენ.

კირქვები მრავალ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. რუსთავის ქარხანა იყენებს სა-დანლოს კირქვებს. სადანლოს კირქვის კარიერები ერთ დიდ სამთო წარმოებას წარმოადგენს საქართველოში. კარიერები-დან რკინიგზამდე საპაროა გზით გადააქვთ კირქვა, ხოლო შემდეგ ვაგონებით რუსთავში.

საჭირო ცენტრალში მასალებს ქარხანა ღებულობს სა-ქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. მარგანეცის მადანს უგზავნიან კიათურა.

ამრიგად, რუსთავის ქარხანას თითქმის ყველა ძირითადი ნედლეულით ამარაგებს საქართველოს მიწის წიაღი.

მოჩვენს ქართული თუჯი და ფოლადი

თუჯი ხანდაზმული მეტალურგიული პროდუქტია. იგი ცნობილია უძველესი საუკუნეებიდან. ჩინელები ჩვენს ერამ-დე რამდენიმე საუკუნით ადრე აღნობდნენ თუჯს. დღემდე შემორჩენილია ჩინეთში იმდროინდელი თუჯის ძეგლები. უნდა ვითქვათ, რომ სხვა ქვეყნების უძველესი მეტალურ-გებიც რკინის გამოღობასთან ერთად ღებულობდნენ აგ-რეთვე თუჯს, მაგრამ, რადგანაც იგი რკინისა და ფოლადი-საგან მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი სიმყიფითა და ჭე-დადობით, პირველყოფილ თუჯს უვარგის და უსარგებლო მასალად მიიჩნევდნენ.

თუჯის მასობრივი გამოღობა თავისი პირდაპირი დანიშ-ნულებით დაიწყო საშუალო საუკუნეებში. იგი გამოიყენებუ-ლი იყო უმთავრესად სამხედრო მიზნებისათვის. თუჯის წარმოება რუსეთში იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ უკვე XVIII საუკუნეში გამოღობილი თუჯის რაოდენო-ბისა და წარმოების ტექნიკური მოწყობილობის მიხედვით რუსეთმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. 1740 წელს დემიდოვმა ააგო 12,8 მეტრის სიმაღლის ბრძმედი და ეს უდიდეს ტექნიკურ მიღწევად იყო მიჩნეული მთელს მსოფ-ლიოში. იგი დღემდეა აღნობდა მხოლოდ 14 ტონა თუჯს.

უმძიმესი იყო იმდროინდელი მუშის შრომა. მუშას თუჯის გამოსაღობად მთელი საჭიროა ნედლი მასალა ასეთ სიმაღლეზე აჰქონდა და იქიდან ტვირთავდა ღუმელს (ბრძმელს). ამ მასალის რაოდენობა რამდენჯერმე აღმატე-ბოდა გამოღობილი თუჯის რაოდენობას. ვინ იცის რამდენი მუშა იმსხვერპლა ამ კატორღულმა შრომამ და ბრძმედის ყელიდან ამოიავალმა გაზებმა.

გასული საუკუნის ბოლოს ამერიკაში ყველაზე მაღალი ბრძმედი 600-700 ტონა თუჯს აღნობდა დღემდეა აღნობდა. მთლიანი მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში 1000 ტონას მიღ-წია. მაგრამ საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკას და 1944 წლიდან ისეთი ბრძმელები ააგო, რომლებიც დღემდეა აღნობდა 1900-2000 ტონა თუჯს აღნობენ.

თანამედროვე ბრძმედი წარმოადგენს ცაში მაღლა აზი-დულ ქონებრივან ლითონის კოქსს. იგი მრავალსართულიანი სახლის სიმაღლისაა. ერთი ტონა თუჯი რომ გამოაღნო, ამისათვის რამდენიმე ტონა ნედლი მასალა უნდა ჩატვირთო ღუმელში. ადგილად წარმოსადგენია რაოდენ უფრო ჯოჯო-გეთური იქნებოდა ჩამტვირთავი მუშის შრომა ისეთ ბრძმელებზე, რომელთა სიმაღლე რამდენჯერმე უფრო მე-ტია, ვიდრე დემიდოვის მიერ აგებული ღუმელი და აღნობ-ბენ არა თოთხმეტ, არამედ რამდენიმე ათას ტონა თუჯს. ან რა რაოდენობის მუშა იქნებოდა საჭირო ასეთი დიდძალი კაზმის ჩასატვირთავად. მაგრამ საბჭოთა კავშირში ბრძმელებზე მუშაობა იმდენად შექანიზებულია, რომ მარტო ჩატვირთე-ზე სულ 4-5 კაცი მუშაობს და ისიც მხოლოდ შექანიზების ავტომატურად ამუშავებზე. ასევე სამძიმო იყო ღუმელიდან თუჯისა და წილის გამოსაშვებად ღუმელში სათანადო ხერე-ლის გაქრა. ამისათვის იყენებდნენ წვეტწამბულ რკინის გრძელ ძელს; 8-10 მუშა წელში მოხრილი მთელის ძალით ერთდროული პორიზონტალური დარტყმით ცდილობდა აღ-ნიშნული ხერელის გაქრას. ახლა ეს სამუშაოც შექანიზე-ბულია და მუშის ფიზიკურ ძალას უკვე აღარ მოითხოვს.

რუსთავის ქარხანაში პირველი ბრძმედი ამუშავდა გასუ-ლი წლის ხუთ ივლისს. ამ დღეს საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე დაიწყო პირველი დნობა. ხოლო მეორე დღეს 4 სა-ათსა და 45 წუთზე ბრძმედიდან უზარმაზარ თუჯის ციცი-ხეხვებში ღვართაფად გადმოეშვა აზერბაიჯანის მადნით, უკ-რაინის კოქსითა და საქართველოს წიაღისეულის მასალებით გამოღობილი ქართული თუჯი. ეს იყო უდიდესი ისტორიუ-ლი მოვლენა არა მარტო ქართული მეტალურგიის, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის ისტორიაში, რაც საზეიმო ვითარე-ბაში ჩატარდა.

წარმტაცია ბრძმედი მუშაობის დროს. თვით განუწყვეტ-ლივ მუშაობს და ასევე ამუშავებს ყველას, ვინც მასთან არის დაკავშირებული: კაზმეულობის უზარმაზარ ეზოს, კოქსის სამჭროს, სააგლომერაციო ფაბრიკას, რკინიგზის საამქროს თავისი პატარა, მაგრამ მძლავრი და მკვირცხლი ორთქლმავლებით, ურიკებზე დადგმულ დიდრონ ციციხეებს — რამდენიმე ათეულ ტონა თხივრ თუჯს რომ იტყვენ, თმოსადგურს, წყალსადენს და მრავალ სხვას. დამე, დრო-გამოშვებით, ბრძმელის მასობლად ცა წითლად იელვებს, როგორც წყვილიაღნი დიდი ხანძრის დროს. ეს იმის ნიშანია, რომ ბრძმედიდან თხივრ ქართული თუჯი მოჩქეტს ციციხე-ში. დღე-ღამეში ექვსჯერ უშვებენ თუჯს.

როგორც კი თუჯის გამოშვება დამთავრდება, ორთქლმავ-ლები თუჯით სავეც ციციხეებს კვილით მიაქროლებენ მარ-ტენის საამქროსაკენ, სადაც წარმოებს ფოლადის გამოღობა-სა ამ თუჯიდან. რუსთავის ქარხნის ფოლადსადნობი მარ-ტენის პირველი ღუმელი ამუშავდა 1950 წლის 27 აპრილს, ხოლო უკანასკნელი 1952 წლის 28 დეკემბერს. ვიდრე ქარხ-ნის ბრძმედი ამუშავდებოდა, მარტენის ღუმელში იკვებე-ბოდნენ სხვა ქარხნებიდან ჩამოტანილი თუჯით და ამიერ-კავკასიაში შეგროვილი ჯართით. ეს ჯართი გულდასმით და-ხარისხებდას მოითხოვს. დარჩეული მასალა იყრება ლითონის როფებში, რომლებიც ურიკებზეა დამაგრებული და ორთქლ-მავლები აწვდიან უშუალოდ მარტენის ღუმელებს. აქ სპე-ციალური შანქანა თავისი ხორთუმის მსგავსი კავით ამ რო-ფებს შეიტანს ღუმელში და აპირქავებს ჯართის ვადმოსაყ-რელად. როცა ღუმელი კაზმით გაივსება, იწყება დნობა. წი-ნათ ღუმელის ჩატვირთვა ხელით წარმოებდა და ერთობ მძიმე შრომას წარმოადგენდა. ეს იყო წინათ. ახლა, როცა



ალ. გორგაძე

რუსთაველი (გორელიეფი)

ქარბანას საკუთარი ბრძმედები აქვს, ცამოდნობილი თხიერი თუჯი უშუალოდ მარტენის საამქროში იგზავნება, მაგრამ მაშინვე ღუმელში კი არ ასხამენ, რადგან მარტენის ღუმელს არ შეუძლიათ უტადონ იმას, თუ როდის გამოუშვებს თუჯს ბრძმედი, და, პირიქით, არც ბრძმედს შეუძლია უტადონ იმას, როდის გათავისუფლდება მარტენის ღუმელი, რომ მისი თუჯი მიიღოს ცადასაშუავევლად. ამიტომ მარტენის საამქროსთან აგებულია სპეციალური ჭურჭელი, რომელსაც მიქსერი ეწოდება და რომელშიც სრძმედებიდან მიღებული თხიერი თუჯი გროვდება, საიდანაც იხარჯება მოთხონილების მიხედვით. ამ მიქსერს სხვა მნიშვნელობაც აქვს, სახელდობრ ის, რომ ერთ ჭურჭელში დაგროვილი სხვადასხვა დროს გამოდნობილი თუჯი ერთგვარობანი ხდება ქიმიური შემადგენლობასა და ტემპერატურის მიხედვით, რაც ადვილესს მის შემდგომ ვადაშუავევას მარტენის ღუმელებში. ამას გარდა, მიქსერში ხდება თუჯში მყოფი ცოცხრიდის წაწილობრივად გაწოვება. ცოცხრიდი არასაშურებელი შენაერთია ფოლადის წარმოებაში.

როცა მარტენის ღუმელში დნობა დამთავრდება და სასურველი ხარისხის ფოლადი მოიხარშება, თხიად ფოლადს ღუმელებიდან ასხამენ გარკვეული ზომის ცოყვებში.

სადაც იგლინება მილები

მილების გლინვას სულ ორიოდე საუკუნის ისტორია აქვს და ისიც დასაწყისში მხოლოდ რბილი ლითონებისაგან ამზადებდნენ მილებს. ლითონის გლინვა წინათაც იცოდნენ. მაგალითად, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში მესხ მეტალურგებს სიცილითა წვრილი მეთულის გლინვა, მაგრამ გაგლინული მილები ჯერჯერობით არსად არ არის აღმოჩენილი. ლითონის მილები წინათაც მზადდებოდა, ოღონდ უროებით გატყვეილი ფურცლებისაგან, რომლებსაც ღუნავდნენ სათანადო დიამეტრის მილების მიხედვით. ასე ხდებოდა თოფის მილების დამზადება აჭარაში და სხვაგან. ასევე ამზადდებდნენ მილებს მეზობელი ხალხებიც. მაგრამ ფოლადის მილების

გლინვა სპეციალურ დაზგებზე ფაქტიურად ჩვენს საუკუნეში დაიწყო. მეტად რთული წარმოებაა მილების გლინვა, მაგრამ ამავე დროს დიდად საინტერესო. უამრავი დგანებით არის სავსე ეს საამქრო, რომლებიც შეწყობილად მუშაობენ. თითოეული მათგანი განსაზღვრულ ოპერაციას ასრულებს მილის გლინვის მთელ ტექნოლოგიაში. ეს წარმოება ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თვალით უნდა ნახოს, რომ ნათლად წარმოადგინოს ის, თუ ფოლადის ზოდიდან როგორ მზადდება უნაკერო მილები...

მარტენის საამქროში თხიერი ფოლადით ავსებული ბოყვეები, რომლებიც ურიკებზეა მოთავსებული, იგზავნება ბლუმინგის საამქროში. აქ უნდა მოხდეს ფოლადის ზოდების კვეთების შეცვლა იმის მიხედვით, თუ როგორი დიამეტრის მილებია დასამზადებელი. ბოყვეებიდან ამოღებული გავარგარებული ზოდი თავსდება აღნიშნული საამქროს გამახურებელ ქაში გასაშურებლად. გარკვეული დროის შემდეგ ქიდან გამოღებული ზოდი სათანადო დგანებით იგლინება და დებულობენ კვადრატული კვეთის გრძელ კოჭს. ეს კოჭები მექანიკური მაკრატლით იჭრება განსაკუთრებული სიგრძის ნაჭრებად და იგზავნება მილნამზადის საამქროში, სადაც ეს კოჭები ისევ დგანების საშუალებით დებულობენ მრგვალ კვეთს. ასეთი ძელებიდან მზადდება მილები.

ღლეღამეში რამდენიმე ასული ტონა ნაირღამეტრიაანი ფოლადის მილები იგლინება. ისინი განუწყვეტლევ იტვირთება ვაგონებში და რკინიგზით იგზავნება.

რუსთავის ქარბანამ გამოიწვია რუსთავში ახალი ქარბანების მშენებლობა, რომლებიც საშობლოთს მისცემენ: მინერალურ სასუქებს და სხვა მრავალ პროდუქციას.

იზრდება სოციალისტური ქალაქიც — რუსთავი.

მეტალურგიულ ქარბანაში მუშაობს მრავალ ეროვნებათა წარმომადგენლების დიდი კოლექტივი, რომელიც წინ სწევს აღდგენილ ქართულ მეტალურგიას, აძლიერებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკას და ამით ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობიანობას მთელს მსოფლიოში.

ალ. კოჭლავეშილი



ი. აკიშაშვილი

ზღვის გიგანტების ბრძოლა

შემთხვევა, რომელზედაც მინდა მოგიხროთ, 1953 წლის შემოდგომაზე წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა.

მე სხვა სპეციალისტებთან ერთად სსრკ სამეცნიერო აკადემიის ექსპედიციაში ვმონაწილეობდი. ექსპედიციის მიზანი ვეშაპების შესწავლა იყო... და აი მკვდარი ცხოველების შესწავლისას ჩვენ შევხვდით ასეთ საინტერესო მოვლენას: თითქმის ყოველი ვეშაპის სხეულზე ღრმა ქრილობებისა და უხორცეული იარების კვალი ჩანდა.

ცნობილია, რომ ვეშაპები უმთავრესად სიპინის კალმარებით იკვებებიან. მაგრამ კალმარები, რომლებიც დღემდე გვხვდებიან წყნარ ოკეანეში, არ არიან ღიდრონი და მათ არ შეეძლოთ ძლიერი, ვეება ვეშაპებისათვის ასეთი დასახიჩრება მიეყენებინათ.

მაშ საიდან ჰქონდათ ვეშაპებს მრისხანე, სასიკვდილო შეტაკებათა კვალი? ვინ ბედავდა ჩამოულიყო ზღვის გიგანტთან — ვეშაპთან ბრძოლაში?

მე კარგად დამამახსოვრდა ის შემსუთველი ტროპიკული ღამე. მთელი წინა დღე ჩვენი ვეშაპსანადირო გემი დიდ ვეშაპს დასდევდა; ცდილობდა ფრთხილად მიახლოვებოდა სასროლ მანძილზე. მაგრამ კაპიტნის, მსროლელისა და ვანტის ცდამ არავითარი შედეგი არ გამოიღო: ვეშაპი ძალიან ფხიზელი და გამოცდილი აღმოჩნდა. საკმარისი იყო გემი ოდნავ მოახლოვებოდა, რომ იგი მოულოდნელად წყალში ღრმად ჩაეშვებოდა და შორს, გვერდზე გამოჩნდებოდა. მაგრამ მხედველობიდან მანც არ იკარგებოდა, რადგან „საკვები“ ადგილი იყო დახვეწილი. ნადირობა დილაღამე შეწყდა. გემი ღრეიფზე დადგა.

მე გემბანზე გავდი, გავისერიწე და ავედი ხიდზე ჩემს მეგობარ შტურმანთან.

— წევს, ელოდება, — თქვა მან და მიმოითათა ვეშაპის შავ სილუეტზე.

ახლაც კი, სიბნელეში, შესაძლებელი იყო მიემხვდარიყავით, რომ ეს ძლიერი, ვეებერთელა ვეშაპი იყო... უთუოდ ვეშაპი ისვენებდა, ან „უსმენდა“ საკბილოს.

აღტაცებით შევცქეროდი სურათს, რომლის დიდებულებას ვერ კიდევ ვერ შევჩვევდი. ოკეანეს ქეშმარიტად წყნარს, მღუმარეს ეძინა. მხოლოდ ხანდახან ზედ ტალღებზე უხმოდ

გადაიქროლებდნენ ზღვის ფრინველები. ზოგჯერ ფუნდებოდა თევზი და კალმარი სწრაფი მოძრაობით წყლიდან ამოხტებოდა, ელვისებურად ჰაერში გაიქროლებდა და ზათქით დაეხეთქებოდა ზღვაში. იმ წამსვე, წყალზე გამოჩნდებოდა მკრთალად მანათობელი ზოლი. ეს წყლის მოძრაობით შეწუხებული ზღვის მიკრობები იწყებდნენ ნათებას.

— შეხედეთ, შეხედეთ, რა არის ეს? — გაკვირვებით იკითხა შტურმანმა.

მე დავაკვირდი: თითქმის ზედ გემის ქიბთან წყალი ანათებდა, მაგრამ ეს არ იყო მიკრობების ჩვეულებრივი მკრქალი ციმციმი. სინათლე ჩვეულებრივზე ძლიერი ჩანდა და თანდათან კაშკაშა ხდებოდა.

უცებ ოკეანეს ტალღები გაიწვა მოიწია და მოგვაჩერდა სასწულებრივად ვეება ორი თვალი, რომლებიც ერთმანეთს ხან უახლოვდებოდნენ და ხან შორდებოდნენ, ტრიალებდნენ და გამუდმებით მომწვანო-მოცისფრო სიკაშკაშეს გამოსცემდნენ.

ყველაფერი ეს ფანტასტიური მოთხრობის ილუსტრაციას ან კიდევ საშინელ სიზმარს ჰგავდა, მაგრამ მოჩვენება არ ჰქრებოდა. პირიქით უფრო მკაფიო და გარკვეული ხდებოდა მახინჯი თავის მოხაზულობა, ვეება პირი — ირგვლივ საცეცებით, რომლებიც ტალღებში სუსტად იკლაკნებოდნენ. საცეცებს შორის ორი განსაკუთრებით გრძელი იყო. თავის შემდეგ გამოჩნდა გემის ანძის ნატების მსგავსი გრძელი და ცლინდრისებური ტანი.

— რა არის ეს! დაბნეულად თქვა შტურმანმა, მაგრამ ჩემთვის, სიპინების შემსწავლელ ბიოლოგისათვის, უკვე ყველაფერი გასაგები გახდა. აღტაცებისაგან გრძნე არ ვიყავი: ჩვენ შევეკვალა აღმოვჩინდით მოწმენი ბუნების მოვლენის იშვიათი შემთხვევისა.

— ეს კალმარია, გიგანტი კალმარი! — ვუთხარი შტურმანს და აუფხსენი, რომ ჩვენს წინ ასმინოგების უახლოესი ნათესავია, მხოლოდ უფრო დიდი და უფრო მტაცებელი. იგი ბინადრობს ოკეანის სიღრმეში და ძალიან იშვიათად სტოვებს მას.

კალმარს შეუწინებლად ვადევნებდით თვალ-ყურს. იგი ფარულების სუსტი რხევით ნელა, ტანის გაუნძრევლად მისრიალებდა წყალზე.

ამ დროს გაისმა ვანტზე მყოფი მეზღვაურის საშინელი ყვირილი:

— მარჯვენა ქიმისკენ ვეშაპი! ჩვენსკენ მოდის! ყვიროდა მეზღვაური.

ჩვენ მივიხედეთ და შიშისაგან გავშეშდით. ვეშაპი გასაოცარი სისწრაფით პირდაპირ ჩვენკენ მოჰქროდა და თან პანათობდა კვალს სტოვებდა. თუ ასეთი გიგანტი გამოქანებული დაეჯახა გემის ქიმს — უბედურება აუცილებელია. შტურმანმა ღონივრად გადასწია ოწინარის ბორბალი.

ვეშაპი სვლას არ უკლებდა, მოილტვოდა იმ ადგილისაკენ, სადაც ნელა არხვედა საცეცება ზღვის ურჩხული, — პირდაპირ ჩვენი გემისაკენ. მიუხედავად საშიშროებისა, მე არ შენედილო არ მეუფრებინა კალმარისათვის. მგონი, ის ფხიზელობდა: სხეული დაეძაბა, საცეცები ერთად შეეკუმშა და თვალები წინ წამოიწია. ის იცდიდა. უცბათ უკან ეღვასებური ნახტომი გააკეთა და უშუალო გემის კიჩოს იქეთ აღმოჩნდა, ხოლო წყალზე გამოხატულმა გრძელმა მანათობელმა ზოლმა მისი სწრაფი სვლა აღნიშნა. ვეშაპი ერთბაშად შემობრუნდა და გემბანი ქაფსა და შხეფში გახვია. განათებულ კვალზე გაქანდა და კულის მოქნევით წყალში ღრმად ჩაეშვა. შტურმანმა ოვლი მოიწმინდა და ჩვენ ორივემ თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

ყველაფერი მიწწარდა. შუქის უკანასკნელი კვალიც გაქრა. შტურმანმა მეზღვაურს უბრძანა თვალყური ედევნებია ზღვისათვის გემბანის მარცხენა მხრიდან, ხომ არ ამოყვინთავდა სადმე ვეშაპი, თვითონ კი ზღვის მარჯვენა მხარეს მეთვალყურეობდა.



გავიდა ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათი, მაგრამ ვეშაპი არსად ჩანდა. ახლოვდებოდა გარიჟრაჟი.

ერთხელ მოგვეჩვენა, რომ ვეშაპი ეს ეს არის ამოყოფს თავს: უცბათ ერთ ადგილზე წყალი დატრიალდა, მაგრამ ჩანდა შეეცდით — ტალღები ისევ გასწორდნენ. გათენდა და ჩვენ უკვე ვფიქრობდით, რომ ვედარ დაველოდებოდით ვეშაპის გამოჩენას... მაგრამ მოულოდნელად გაისმა ყურთასმენისწამლები სტვენა და წყლის ძლიერი თქაფანი.

ის, რაც ჩვენ დავინახეთ, დაუფიქრებელია. წყალიდან არა ნაკლები ათი მეტრის სიმაღლისა ამოვარდა ურჩხული, ზღაპრული დრაკონის მსგავსი, რომელიც გამაყრუებელ ზუილს გამოსცემდა მატარებლის დაზიანებული საყვირის მსგავსად. ურჩხულმა ჰაერში მრულდ რკალი შემოხაზა და ხმაურითა და სტვენით დაეხეთქა წყალს. შემდეგ, თავის ქნევით, საიდანაც გრძელი საცეცხები დაშვებულიყვნენ, ისევ ვეებერთელა ნახტომი გააკეთა და ზუილითა და სისინით წყლის სიღრმეში ჩაეშვა...

მაღე ისევ ამოხტა და ამჯერად გემის ახლოს აღმოჩნდა. ახლა უკვე გავარჩიეთ, რომ ჩვენს წინაშე არა ურჩხული, არამედ ორი ცხოველია: გიგანტი კალმარი და ვეშაპი. ვეშაპი თავისი ძლიერი უბებით უქერდა კალმარს, კალმარი კი მთელი თავისი ათი საცეცხით ვეშაპის თავს შემოჭვებოდა და მისთვის ერთადერთი ნესტო დაეხურა, რომლიდანაც ამოხეთქილა ჰაერმა ყურთასმენისწამლები ველური სტვენა გამოსცა.

კალმარი მთელი ძალით ცდილობდა ვეშაპს კბილებიდან გასხლტომოდა და აქეთ-იქით ეხეთქებოდა. ამავე დროს მისი საშინელი ნისკარტი ვეშაპის ტანს გლეჯდა. ღრმა ჭრილობებიდან ვეშაპს სისხლი ჩანჩქერივით სდიოდა და წყალს რუხ ფერად ღებავდა. ვეშაპი ტკივილისაგან ბორბავდა და

კულის ქნევით ტანი ათეულ მეტრზე გადაჰქონდა. იგი, მაგრამ ჩნავი, სწრაფი მოძრაობით ცდილობდა მოეცილებია წყარული საცეცხები, რომ ჰაერი შეესუნთქა. გვეგონა ვეშაპი იხრჩობოდა: მისი მოძრაობა თანდათან სუსტი ხდებოდა... მაგრამ, უცბათ, ისეთი თავგანწირული სიძლიერით მოიქცია თავი, რომ კალმარი შორს გადაისროლა და ხმაურით შეისუნთქა ჰაერი. იმ წამსვე, კალმარისათვის რომ გონსმოსვლის საშუალება არ მიეცა, კბილებით სწვდა, მალა შეისროლა და პირი თავთან ჩაავლო.

ვეშაპის მოძრაობას წინანდებური ძალა დაუბრუნდა. ახლა ის როგორც სათამაშოს, ისე ისროდა ზევით, მარჯვნივ და მარცხნივ ოცდაათონიან კალმარს, ისროდა და იქერდა, არ აძლევდა საშუალებას მიეკროდა. ჩანდა, რომ კალმარს რაღაც ჰქონდა დაზიანებული, ის მთლად მოეშვა, საცეცხები უსიცოცხლოდ იხლართებოდნენ და აქეთ-იქით ქანობდნენ. მისი საშინელი ნისკარტი მტაცებლურად იხსნებოდა და იხურებოდა, მაგრამ ის მხოლოდ ჰაერს იქერდა და უშედეგოდ ტაცუნებდა.

ორი გიგანტის შებრძოლებამ ზღვის ნამდვილი დეღვა გამოიწვია. გემი აქეთ-იქით იხრებოდა. გემბანზე ხალხი უკვე ბლომად შეგროვილიყო. — ხმაურისა და გემის რყევისაგან გამოღვიძებულიყვნენ რაზმი და მეცნიერმუშაკები... ბოლოს ვეშაპი თავის ქნევით წყლის სიღრმეში ჩაეშვა და, როცა ის რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა, კალმარს თავი თითქმის მოგლეჯილი ჰქონდა. ვეშაპი ჩვენს თვალწინ აუჩქარებლად ყლაპავდა დამარცხებულ რვაფეხას.

ასე ამჯერად, ჩვენ ცხადად დაერწმუნდით, რომ გიგანტი კალმარები, რომლებიც ადრე ატლანტიკაში გვხვდებოდნენ, თურმე წყნარი ოკეანის სიღრმეშიაც ცხოვრობენ.

თარგმნა შალვა ლომოპერიძემ

ს ა მ ი ს უ რ ე დ ი

(ბირმული ზღაპარი)

ერთხელ კურდღელი — თქვენც კარგად იცით, — ნადირთა შორის განთქმულია თავისი სიბრძნით, — იჯდა ხის ქვეშ და ცხოვრებაზე ფიქრობდა.

— ქვეყანა საესეა საშიშროებით, ყოველ ნაბიჯზე განსაცდელი გიდარაჯებს. — ჩაილაპარაკა მან თავისთვის. — ერთი რომ, შეიძლება მოხდეს სტიქიური უბედურება, მაგალითად, მიწისძვრა, ქარიშხალი, ცის ჩამოქცევა... მეორეც, განუწყვეტელი გემინია შიმშილის: ხომ შეიძლება საკვებისა და წყლის მარაგი გამოილიოს! და ბოლოს, ყოველ წუთს მოსალოდნელია თავს დაგესხან ქურდები და ყაჩაღები...

უცბე კურდღელს მოაგონდა, რომ მნიშვნელოვან პაემანზე უნდა წასულიყო, და გაიქცა.

კურდღელმა არ იცოდა, რომ ტყის სამმა ბინადარმა გაიგონა მისი ნათქვამი და შიშით გული ამოუბრუნდათ. მსენი იყვნენ: პრანწია, ჭიაყელა და მიმუნნი.

პრანწიას სტიქიური უბედურების გაგონებაზე თავზარი დაეცა და ცრემლმორეულმა ჩაილაპარაკა:

— ვაი თუ ძილის დროს ჩამოიქცეს ცა?! კიდევ კარგი, თუ დღე ჩამოიქცა — მოვასწრებ შორს გაფრენას. მაგრამ, ვაი თუ ღამით, ძილში ჩამოიქცა — ხომ გამსრისა მაშინ?!

ჭიაყელას კი შიმშილისა შეეშინდა.

— ვაი თუ გამოიფიტოს ნიადაგი, გამოილიოს ჩემი საკვები! მაშინ მე ნამდვილად დავიღუბები, ნამდვილად!..

მიმუნნი კი ქურდებისა და ყაჩაღების ხსენებამ ჩააფიქრა და ცრემლმორეულმა უთქვა:



— ამ ქვეყნად ყველაზე მეტად დედამიწას ვაფასებ, მაგრამ ღამით მიხდება ხოლმე მისი დატოვება, რადგან ხეზე ძილს მივჩვევი. ერთიც ვნახოთ, ქურდები და ყაჩაღები მოვიდნენ მაშინ, როცა მიძინავს, და მოიპარონ დედამიწა?!

იმ დროიდან პრანწია ყოველთვის გულაღმა წევს, პაწაწინა ფეხები მალა აუშვეროს, თითქოსდა ცის შეკავებას ღამობდეს, თუ ვინცობაა ცა ჩამოქცევას დააპირებს; ჭიაყელა რასაც ჭამს, იქვე წამოაფურთხებს ხოლმე, რომ არ შემციარდეს ნიადაგში საკვების მარაგი; ხოლო მიმუნნი ღამეში სამჯერ ჩამოღის ხიდან, რათა მოსინჯოს მიწა და დარწმუნდეს, რომ ქურდებს ჯერ კიდევ არ მოუპარავთ დედამიწა.

თარგმნა მერი კანდელაკმა

რ ა შ ი კ ი თ ხ რ თ

„მეორე ოჯახი“



ცალკე წიგნად გამოვიდა გრიგოლ ჩიქოვანის ახალი მოთხრობა „მეორე ოჯახი“, რომელიც გასულ წელს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა. იგი გვიამბობს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

ბავშვები სოფლის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. მათი უშუალო დახმარებით გაიყვანეს სოფელ ჭანდრიანში ახალი სარწყავი არხი. ხოლო როდესაც კოლმეურნეობის ცხოვრებაში მეორე საკითხიც წამოიჭრა, განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილება, რომელიც კოლმეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვენახების მოსავლიანობის გადიდებას სახვდა, ბავშვები კოლმეურნეობას ახლაც მხარში ამოუდგნენ. სოფელ ჭანდრიანში გაშენებული ჰქონდათ დაბალ-

ხარისხოვანი ჯიში ქიწნურა. საჭირო იყო მისი ამოძირკვა და ქართლის ძვირფასი ჯიშების: გორული მწვანისა და ჩინურის გაშენება.

ბევრმა კოლმეურნემ სწორად გაიგო ეს მითითება, მაგრამ აი გაჯიუტდა პაპა გიგია და ვერაფრით ვერ გადაარწმუნეს — მე შეჩვეული ქიწნურა მირჩევნიაო. გული წყდებოდა მის შვილიშვილს ზაქროს, რომ

ვერაფერი შეასმინა პაპას. თუმცა ამხანაგები ურჩევდნენ: თავი გაანებე პაპას, მერე თვითონ დარწმუნდება და თავისი ხელით ამოძირკვავს ქიწნურასო, მაგრამ ზაქრო მაინც ვერ შეგუებოდა ამ აზრს. მას ეჩვენებოდა, რომ ამხანაგები უსიტყვოდ უსაყვედურებდნენ: „აი ჩვენ დავაჯერეთ ჩვენი მშობლები... შენ კი ვერ დაიყოლიე პაპა გიგია, არაფრად ჩაგაგდო, არ გაგიგონა, ყველაფერში რომ პირველი ხარ, აქ ჩვენ გაჯობეთო!

ჰოდა, ერთხელ ზაქრომ ჩუმად ამოძირკვა ქიწნურა. სასტიკად გაჯავრდა პაპა გიგია, ხმას არ სცემდა შვილიშვილს. ზაქროს საქციელი არ მოეწონა არც პიონერულ ორგანიზაციას. პიონერორგანიზაცია ხომ ზაქროს მეორე ოჯახი იყო. გადაწყდა საერთო კრებაზე საყვედური გამოცხადებინათ ზაქროსთვის. როცა ეს ამბავი გაიგო, პაპა გიგიას

შეეცოდა შვილიშვილი. ის თვითონ წარსდგა კრების წინაშე და თხოვა პიონერებს ეპატიებიათ შვილიშვილისათვის დანაშაული. „ნუ დამისჯით ჩემს ბიჭს... ჩემი ბრალი იყო... აბა სირცხვილი არ არის, ჩვენ დროში ქიწნურას იწვედეს კაცი!.. მე არ ვუწყრები ზაქროს. მეც მის ადვილზე, ალბათ, ასე მოვიქცეოდი“, — თქვა პაპა გიგიამ.

მოთხრობა „მეორე ოჯახი“ დაწერილია ლამაზი, მხატვრული ენით. იგი ზრდის ბავშვებში შრომის სიყვარულს, მეგობრობის, კოლექტივიზმის გრძნობას. პიონერული ორგანიზაცია ბავშვთა მეორე ოჯახია, იგი ფიზიკად ადევნებს თვალს თავისი წევრების ქცევა-საქმიანობას, სწორად წარმართავს პიონერთა აღზრდას.

„მეორე ოჯახი“ საჭირო და სასარგებლო წიგნია. ყველა პიონერმა დაკვირვებით უნდა წაიკითხოს ეს მოთხრობა.

ნ. შ. შ. ხომერიკი

„ს უ ვ ო რ ო ვ ე ლ ე ბ ი“

გასულ წელს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ივანე ურჯუმელაშვილის მოთხრობა „სუვოროველები“. მოთხრობა, რომელმაც 1953 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ალკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსზე მეორე პრემია მიიღო და თავიდანვე დაიმსახურა ნორჩი მკითხველის მოწონება, „საბლიტგამმა“ ახლანან ცალკე წიგნად გამოსცა.

„სუვოროველები“ სამხედრო სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებას ასახავს. სწავლა მეგობრობა, სამხედრო დისციპლინა, კოლექტივის კეთილმეყოფელი გავლენა — აი, საკითხები, რომლის ფონზეც აუბეჭდილია მოთხრობა.

თენგიზ პაიჭაძის მამა სამამულე ომში დაიღუპა. როდესაც წამოიზარდა, თენ-



გიზი სუვოროვის სკოლაში მიიღეს. პირველ ხანებში თენგიზს გაუჭირდა სწავლა, ვერ შეეგუა სამხედრო წესებს; ხშირად არღვევდა დისციპლინას, ატყუებდა უფროსებს, გულგრილად ეკიდებოდა სწავლას, თვითნებობდა. პაიჭაძე სწორ გზას აცდა, მაგრამ აღმზრდელები და მეგობრები დაეხმარნენ

ბუნებით ნიჭიერ ყმაწვილს და მალე თენგიზმა შეიყვარა სამხედრო სასწავლებელი. მოთხრობის დასასრულს თენგიზი კარგი სწავლითა და დისციპლინით მეგობრებისა და აღმზრდელების ქებას იმსახურებს, გენერალი კი კომკავშირში შესასვლელ რეკომენდაციასაც ეიძლევის.

ივანე ურჯუმელაშვილი ყოველივე ამას მეტად ცოცხლად მიმზიდველად; მხატვრულად აგვიწერს. „სუვოროველები“ საქმის ცოდნითაა დაწერილი. ავტორი კარგად იცნობს იმ გარემოს, რომელშიც მისი გმირები მოქმედებენ. სიყვარულით გვიხატავს როგორც თენგიზ პაიჭაძეს, ასევე ვასია სიმონოვსაც. ვასია პირდაპირი, სიმართლის მოყვარე სუვოროველია. იგი ჭეშმარიტ

მეგობრობას უწვევს პაიჭაძეს. ავტორმა ვასიას სახით რუსი ბიჭუნას მიმზიდველი სახე შექმნა.

მოთხრობაში კარგადაა დახატული აგრეთვე სუვოროველთა აღმზრდელი ლეიტენანტი ლოგინოვი, რომელიც ნამდვილ მამობას უწვევს თავის აღსაზრდელებს. ასევე, დამაჯერებლადაა დახატული გენერლის პორტრეტი. მოთხრობაში კარგადაა აღწერილი სუვოროველთა მრავალგეროვანი ცხოვრება. ნაწარმოები დიდი ინტერესით იკითხება. მისი მიზანია ჩაუნერგოს ნორჩ თაობას პატრიოტიზმი, აღზარდოს ბავშვები ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად.

ივანე ურჯუმელაშვილის წიგნი „სუვოროველები“ კარგი საჩუქარია ნორჩი მკითხველებისათვის.

რამაზ ზაქარაია



უსინათლო ზანარი

საკომპლექსური თევზსაშენის ტბორში მეზადურები ჭანარს იჭერდნენ და დედა თევზებს გოგირდმჟავათი წინააღმდეგობა აღებდნენ. დადასტურდა თევზებს წყალში უშვებდნენ, რომ თევზაობის დროს დედა ჭანარი ადვილად გამოეცნოთ და ისევ ტბორში გადაეხრათ.

ერთ დღეს მეზადურის ბადეში სარკისავით პრიალა დედა ჭანარი მოხვდა. მეზადურმა მოიმარჯვა გოგირდმჟავათი სავსე ქილა და მოემზადა ზურგზე წინააღმდეგობა აღებად. თევზმა წინააღმდეგობა გაუწია მეზადურს, კულის მძლავრი მოქნივით გოგირდმჟავიანი ქილა ხელში წაუქცია. ამ დროს გოგირდმჟავას წინააღმდეგობა თევზს თვალეზში მოხვდა. თევზს თვალეზი მაშინვე აემღვრა და დაეშრითა.

მეზადურის გაუფრთხილებლობით თევზი დაბრმავდა.

კიევის ოლქის ტარაზნის რაიონის თევზსაშენის მუშაკებმა, სადაც ეს შემთხვევა 1950 წლის გაზაფხულზე მოხდა, გადაწყვიტეს უსინათლო ჭანარი ტბორში გადა-

ეხროლათ და თვალყური ედევნებინათ, თუ როგორ მოიქცეოდა იგი. იმავე წლის შემოდგომაზე ეს ჭანარი კვლავ დაიჭირეს და გასინჯეს.

აი, რა საინტერესო რამ გამოიჩინა: აღმოჩნდა, რომ თევზს ამომწვარი ადგილები მოშუშებია და თვალის ორბიტაზე კანი გადაჰფარებია. შემდგომ წლებში ჩვენი ნაცნობი ჭანარი გარეგნული შეხედულებით არაფრით არ განსხვავდებოდა თავისი თანამოძმეებისაგან. დაცურავდა ჩვეულებრივ, შოულობდა საკვებს და ირჩენდა თავს, ამ ხნის განმავლობაში ჭანარმა სიგრძეში 4 სანტიმეტრი და წონაში 700 გრამი მოიმატა.

ორი წელია უსინათლო თევზმა ქვირითის დაყრა დაიწყო. მისი მოდგმის ჭიჭყინება თვალხილულნი და სავსებით ნორმალური არიან.

ამ მაგალითის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიბრმავე ჭანარს ხელს არ უშლის საკვები მოიბოგოს და გამრავლდეს.

კ ა ლ ი ბ ო

ამ სურათზე ორი ბუ კი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, არამედ ბუ და... პეპელა.

ეს—პეპელა კალიგოა, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ბინადრობს.

პეპელას მეორე წყვილ ფრთებზე ორი დიდი მრგვალი ლაქა აქვს, რომელიც ბუს თვალეზს მოგვაგონებს. და არა მარტო ეს ორი ლაქა, არამედ ფერების მთელი შეხ-

მება ფრთებზე, საოცრად ჰგავს ბუს. კალიგო ჩვეულებრივად ბინდში დაფრინავს; მწერებზე მონადირე ფრინველის მოახლოებისას უმალ თავდაღმა შეტრიალდება, ემგავსება ბუს, და ფრინველი პეპელას აღარ ერჩის. კალიგო, როგორც წესი, თავდაღმა ზის ტოტზე—სახელდობრ ამ მდგომარეობაში ჩანს უკეთესად მის ფრთებზე „საშინელი“ მხატვრობა. ეს სურათიც ამ პოზი-შია გადაღებული.

ქაცვი მეტად ამტანი მცენარეა და განსაკუთრებით უხვად იზრდება ალტაიში, შემოდგომაზე იხუნძლება ნაყოფით, რომელსაც სასიამოვნო მომჟავო-ტკბილი გემოსი და არომატის გამო „ციმბირის ანანასი“ უწოდებენ.

ძველად, ციმბირში, სტუმრებს ქაცვის ნაყოფისაგან დამზადებული სხვადასხვა სასმელთა და საჭმელით უმასპინძლებოდნენ: კისელით, რომელიც მოცხარის კისელს არ ჩამოუვარდება, მურაბით, ფელამუშით, მარმელადით.

ხანგრძლივმა ლაბორატორიულმა ცდებმა, რომელიც მკვლევარებმა ვიტამინის მრეწველობის ცენტრალურ ლაბორატორიაში ჩატარეს, დაგვანახვა, რომ საკვები თვისებების და მაღალი ვიტამინიანობის გარდა, ქაცვის ნაყოფი შეიცავს სიცოცხლისათვის



ფრად საჭირო ნივთიერებათა მთელ კომპლექსს — პროვიტამინ A-ს, რომელსაც სხვა-ნაირად კოროტინს უწოდებენ. აგრეთვე, მიიღებენ იშვიათ ვიტამინ E-ს, რომელიც აძლიერებს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლე-ბის მუშაობას, და ვიტამინ F-ს, რომელიც კარგად მოქმედებს კანზე.

ამ ნაყოფისაგან, წვენი გარდა, მიიღებენ უაღრესად გემრიელ და არომატიან ზეთს, რომელშიაც კოროტინია და ვიტამინები—E და F.

მოსკოვის კლინიკებში გამოკვლევებმა დაგვანახვა ქაცვის ზეთის განსაკუთრებული მაღალი სამკურნალო თვისებანი. მისი საშუალებით ხორცდება ჭრილობები, იკურნება წყლულები, დამწვრობა-მოყინულობანი; უმჯობესდება კანში ნივთიერებათა ცვლა და მისი კვება.



ხმის გამფორმებელი ხელსაწყო

რამდენიმე თვის წინ რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი განყოფილების მეცნიერმუშაკებმა ბუქარესტში შეიმუშავეს განსაკუთრებული ხმის გამფორმებელი ხელსაწყო - განკუთვნილი ფოლადის გადამმუშავებული ქარხნების მუშებისათვის. ხელსაწყო იცავს მუშებს ჯანმრთელობისათვის მავნე, ძლიერი და მუდმივი ხმაურისაგან.

ეს ფილტრი სრულებით არ ატარებს ხრილს, ყლარუნს და გუგუნს, სამაგიეროდ კარგად ატარებს ადამიანის ხმას.

მისი მოწყობილობა დაფუძნებულია იმაზე, რომ ზოგი მასალა ეხლოდ გარკვეული სიხშირის ხმებს ატარებს.

ხმის გამფორმებელი ახალი ხელსაწყო, რომელსაც ყურებზე იკეთებენ, მსუბუქია და მუშის ხელს არ უშლის მუშაობაში.



პ ი თ ნ ე რ ი № 7

მაყვალა მრავლიშვილი

გვზავკული

(ტექსტი მუსიკისათვის, რომელიც მოთავსებულია გარეკანის მე-4 გვერდზე)

- აბა-დელია,
- შარა გრძელია,
- მაგრამ მგზავრობა
- განა ძნელია!
- დუ-დუ! — გაჰყვირის
- ჩვენს საყვირის;
- ჩვენს ცხენს არ უნდა
- თივა, ალვირი.
- ავტომანქანით
- საით ვიჩქარით?
- გამოიცანით,
- აბა, გვითხარით.
- მიგვიხარია,
- აბა-დელია,
- ეს მთა-ველები
- საყვარელია.
- დუ-დუ! — იძახის
- ავტომანქანა,
- თან მიაქვს ჩვენი
- ბარგი-ბარხანა.
- აბა-დელია,
- ქალაქში ცხელა —
- სააგარაკოდ
- მივდივართ უველა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვ. გვეტაძე - გვეძახის ზაფხული (ლექსი)	83-1
ს. ლორთქიფანიძე - გარიჟრაჟე (მოთხრობა)	2
რ. მარგანი - ორი ბიჭის ანბანი (პოემა)	4
ფ. ვიგდოროვა - გზა ცხოვრებისაკენ (მოთხრობა, დასასრული. თარგმანი თ. მთვარელიშვილისა)	8
ა. თევზაძე - ქვიშხეთის ბანაკში (ლექსი)	11
ო. ჭელიძე - ნაყუმბარალი (ბალადა)	12
გ. ჯინჭარაძე - რად მიყვარს დედა (მოთხრობა)	13
ო. თუმანიანი - ყველიერი (ზღაპარი, თარგმანი ი. გრიშაშვილისა)	15
ნ. ბეზარაშვილი - სამაგიერო (მოთხრობა)	16
რაბინდრანად თაგორი - ვაჭარი (თარგმანი ლ. ძიძიგურისა)	17
ლ. პანტელევოვი - პატიოსანი სიტყვა (მოთხრობა, თარგმანი რ. ინანიშვილისა)	19
პიონერული ახალი ამბები	20
ორჰან ქემალი - ბავშვები და მოზრდილები (მოთხრობა, თარგმანი ლ. გრადისა)	22
ალ. კოლვაშვილი - მეტალურგიის ახალი კერა საქართველოში (წერილი)	24
ი. აკიმუშვინი - ზღვის გიგანტების ბრძოლა (თარგმანი შ. დოდობერიძისა)	29
რა ვიკითხოთ	30
მოკლედ ყველაფერზე	31
გასართობი	გარკ. მე-3

გარეკანის პირველ გვერდზე — „სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესასვენლთან“ — ფერადი ფოტო ვ. კოვრიგინისა. გარეკანის მეორე გვერდზე — „ხელგარჯილობის გაკვეთილი“ — ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა. გარეკანის მესამე გვერდზე — „მგზავრული“ — მუსიკა მ. დავითაშვილისა, ტექსტი მაყვალა მრავლიშვილისა.

ურთიერთი დასურათებულია: კ. მახარაძის, ზ. გოვალაშვილის, გ. თათიბაძის, გ. ფოცხიშვილის, დ. ხახუტაშვილისა და რ. ცუციქორიძის მიერ.

ს არ ედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. июль № 7, 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3-81-85. საბლიტგამი.

შე 03267 ტ.რავი 13.000 ხელნაწი დასაბ. 22/VII გამოც. შეკვ. № 286. სტამბის შეკვ. № 853. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“



კ. 252/35

მგზავრული

მუსიკა ვიდი დამითარხილია
ლესი მანვალა მგველი მგველი

მარშის ტემპით

ა - ბა, დე - ლი - ა, შა - რა გრძე - ლი - ა, მავ - რამ
 ა - ბა, დე - ლი - ა, მიგ - ვი - ხა - რი - ა, ეს შთა

მგზავ - რო - ბა გა - ნა ძვე - ლი - ა ა - ბა, დე - ლი - ა, შა - რა გრძე - ლი - ა,
 ვე - ლე - ბი საყ - ვა - რე - ლი - ა ა - ბა, დე - ლი - ა, მი - ვეი - ხა - რი - ა,

მავ - რამ მგზავ - რო - ბა გა - ნა ძვე - ლი - ა. დუ - დუ - დუ - დუ გაძ - ყვი - რის ჩვე - ნი საყ - ვი
 ეს - შთა ვე - ლე - ბი საყ - ვა - რე - ლი - ა. დუ - დუ - დუ - დუ ი - ძა - ხის ავ - ტო მან - ქა

რი ჩვენს ცხენს არ უნ - და თი - ვა აღ - ვი - რი ავ - ტო მან - ქა - ნით
 ნა, თან - შიგ - გვაქვს ჩვე - ნი მარ - გი მარ - ხა - ნა ე - ჯე მან - ქა - ნით
 ცხე - ლა

სა - ით ვინ - ქა - რით ვა - შო ი - ცა - ნით ავ - ტო მან - ქა - ნით
 სა - ა გა - რა - კით მივ - ღი ვართ ყვე - ლა ავ - ტო ში ცხე - ლა

სა - ით ვინ - ქა - რით ვა - შო ი - ცა - ნით
 სა - ა გა - რა - კით მივ - ღი ვართ - ყვე - ლა!